საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 25 მარტი, 1952 წ. № 72 (9232). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

ზრუნვა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის — „პრავდის" 23-III მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვის მეტროს ახალი ხაზები და სადგურები (1-ლი გვერდი).
როგორ ვაწარმოებ ჯართის ჩქაროსნულ ჩატვირთვას (1-ლი გვერდი).
გორის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე (მე-2 გვერდი).
კ. სიხარულიძე — რაიკომი კონკრეტულად არ ეხმარება პირველად ორგანიზაციებს (მე-2 გვერდი).
მეცნიერების შემდგომი გაიაფებისათვის (მე-2 გვერდი).
ჩინელი მწერლები საქართველოში (მე-2 გვერდი).
ჩაის ახალი აგროტექნიკის დანერგვის შედეგად (მე-3 გვერდი).
უფრო მეტი ყურადღება [illegible] შრომის გამოყენებას (მე-3 გვერდი).
ფილმი [illegible] (მე-3 გვერდი).
ვიხსნათ კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებისაგან! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ზრუნვა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის

ხალხის საყოველთაო კეთილდღეობის გაუმჯობესება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავია. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები, მათი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა განუხრელად უმჯობესდებოდეს.

საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით ადიდებს ხარჯებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. ქალაქებსა და მუშათა დაბებში დიდი სამუშაოები წარმოებს საცხოვრებელი სახლების, კომუნალური საწარმოების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. ფართოვდება კულტურის სახლებისა და კლუბების, თეატრების, ბიბლიოთეკების, მაღაზიების, სასადილოების, სამკურნალო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი.

მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხების ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებისა და სახელმწიფოს ხარჯზე მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების ზრდის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა შემოსავალი 1951 წელს, შესადარ ფასებში, 1950 წელთან შედარებით ათი პროცენტით გადიდდა. ბუნებრივია, რომ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება და ფართოვდება მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

„ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1931 წელს,—სურს ისე იცხოვროს, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სურსათის მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრივაც".

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანა — ყოველდღიურად იზრუნონ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის. პარტიის ბევრი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი ღრმად სწვდება საბინაო მშენებლობის, ქალაქების კეთილმოწყობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს.

მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე განიხილეს ქალაქის საბინაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის გეგმის შესრულების საკითხი. პლენუმზე კამათის ყველა მონაწილე აღნიშნავდა პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ ზრუნვას მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. 1951 წელს ქალაქში აშენდა სამასი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი საცხოვრებელი სახლები. განხორციელდა პროსპექტებისა და მოედნების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები. შესამჩნევი წარმატებანი აქვთ მოპოვებული კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობის ტემპის გაძლიერებასა და მუშაობის გაუმჯობესებაში. ამასთან ერთად კამათის მონაწილენი აღნიშნავდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ურიგდებიან საბინაო მშენებლობისა და ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი ხელმძღვანელობაში.

ბრიანსკის ოლქის ქალაქებსა და სოფლებში დიდი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მიმდინარეობს. მარტო შარშან აქ აშენდა მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი, სკოლები, კლუბები, სამედიცინო დაწესებულებანი, განხორციელდა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის მნიშვნელოვანი სამუშაოები. მაგრამ, როგორც ეს აღინიშნა ოლქის პარტიული აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის მთლიანად შესრულება.

ზოგიერთი ოლქისა და რაიონის პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო, სამკურნალო და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ასტრახანში მუშათა კლუბების, საოლქო დრამატული თეატრის, მოზარდ მაყურებელთა თეატრის, ფილარმონიის მუშაობაში ბევრი სერიოზული ნაკლია. მაგალითად, სამრეწველო საწარმოთა კლუბებში იშვიათად აწყობენ ლექციებს, სუსტად არის განვითარებული მხატვრული თვითმოქმედება, ფიზკულტურული მუშაობა. მიუხედავად ამისა, საკავშირო კ. პ. (ბ) ასტრახანის საოლქო კომიტეტი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაინტერესებულა, თუ რა ხდება საოლქო ცენტრის კლუბებში, როგორ ასრულებენ ისინი დაკისრებულ ამოცანებს მუშათა კულტურული მომსახურების დარგში.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ყურადღებას აქცევდნენ მშრომელთა ყოფაცხოვრების ყველა მხარეს, აუმჯობესებდნენ კლუბების, მაღაზიების, სასადილოების, საბავშვო მოედნების, ბაღების, ბაგების, საავადმყოფოების, სამკერვალო და შემკეთებელი სახელოსნოების, სამრეცხაოების, აბანოების, საპარიკმახეროებისა და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაობას. ისეთ საქმეში, როგორიც არის საბჭოთა ადამიანების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არ არის „წვრილმანები", აქ ყველაფერს დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს ქვეყანაში სწრაფად ხორციელდება ქალაქებისა და მუშათა დაბების მშენებლობა და კეთილმოწყობა, ჩნდება ახალი ქუჩები, პროსპექტები და მოედნები. მაგრამ ზოგიერთი ქალაქის მცხოვრებლები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სავაჭრო ქსელის გაფართოება ზოგჯერ ჩამორჩება საბინაო მშენებლობას, განსაკუთრებით ახალ რაიონებში, ქალაქების განაპირა უბნებში.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა კადრებით მათი ყოველმხრივ განმტკიცება. საჭიროა სწორად შევარჩიოთ და აღვზარდოთ კადრები სახელმწიფო დისციპლინის უსასტიკესი დაცვის, მშრომელთა საჭიროებისადმი პატიოსანი და მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით. სავაჭრო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებში შეუწყნარებელია ისეთი ადამიანები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ამ ორგანიზაციების თვითეული მუშაკის ღირსების საქმე უნდა იყოს ადამიანებისადმი გულისხმიერი, მზრუნველი დამოკიდებულება, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება.

კადრების აღზრდაში და, მაშასადამე, კულტურულ და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მათმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ სინამდვილეში ხშირად ისე ხდება, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სწორედ ამ პარტიულ ორგანიზაციებს აქცევენ ნაკლებ ყურადღებას, არ ეხმარებიან ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებაში. საქალაქო და რაიონული კომიტეტები მათ მიაკუთვნებენ ეგრეთწოდებულ მცირერიცხოვან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს და ყოველთვის ვერ ითვალისწინებენ, თუ რა პასუხსაგებ უბანზე იმყოფებიან ისინი და რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მუშაობის დონის ამაღლებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) გორკის საქალაქო კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, რომელმაც განიხილა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ქალაქის საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში, რაიკომები და პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო სამართლიანად გააკრიტიკეს იმისათვის, რომ ისინი ჯეროვნად არ ხელმძღვანელობენ კომუნალური საწარმოებისა და საბინაო სამმართველოების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ნაკლებ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელონ ადგილობრივი საბჭოებისა და პროფკავშირების მუშაობას მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დარგში, გააძლიერონ მომთხოვნელობა საბჭოებსა და პროფკავშირებში მომუშავე კომუნისტებისადმი. საჭიროა, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისადმი კონტროლში უაღრესად ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი.

ჩვენი პრესა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია უფართოეს მასებთან, სისტემატურად, ღრმად და ყოველმხრივ უნდა აშუქებდეს მშრომელთა კულტურისა და ყოფაცხოვრების საკითხებს, ცხადყოფდეს საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის, აკრიტიკებდეს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. მეურნეობის კაპიტალისტური სისტემისაგან განსხვავებით სოციალიზმი წარმოუდგენელია, ისე, თუ სახელმწიფო ყოველდღიურად არ ზრუნავს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის,—და ეს არის მისი განვითარების კანონი. აშენებს რა კომუნიზმს, საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვისაკენ, ჩვენი დიდი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავებისაკენ.

„პრავდის" 23/III მოწინავე

## ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა ლიტვურ ენაზე

ვილნიუსი. (საკდესი). ლიტვის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ლიტვურ ენაზე ცალკე ბროშურებად გამოუშვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია", „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" და „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა".

## დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

ქარელი. (ტელეფონით). დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. სოფელ რუისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ პირველ დღეს 20 ჰექტარი დათესა. სწრაფად თესავენ სოფელ ქვემო ხვედურეთისა და ქვენატკოცის კოლმეურნეობებში.

პირველ დღეს რაიონში დაითესა 150 ჰექტარი შაქრის ჭარხალი.

# საბჭოთა კავშირში

## მოსკოვის მეტროს ახალი ხაზები და სადგურები

მოსკოვის მეტროს მშენებელთა კოლექტივი ახლა დიდ მუშაობას ეწევა დიდი რკალის მესამე უბანზე. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მეტრომშენის უფროსმა ნ. ა. გუბანკოვმა განაცხადა:

— შენდება ლიანდაგის ერთი ნაკვეთი, რომელიც შეკრავს დიდ რკალს და ბელორუსიის ვაგზალს შეუერთებს ა. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკს. ამ უბანზე, რომლის სიგრძეც დაახლოებით ხუთ კილომეტრს უდრის, შენდება ორი სადგური — „კრასნაია პრესნია" და „კიევსკაია-კოლცევაია".

„კრასნაია პრესნიას" სადგურზე უკვე დამთავრებულია სამუშაოები სალიანდაგო-სასადგურო გვირაბებში. მიმდინარეობს გრუნტის ამოღება და ტიუბინგების რგოლების ჩადგმა მიწისქვეშა ვაგზლის ცენტრალურ დარბაზში. მთლიანად აშენებულია ერთ-ერთი სალიანდაგო გვირაბი, რომელიც სადგურ „ბელორუსკაია-კოლცევაიას" უერთებს „კრასნაია პრესნიას" სადგურს. გვირაბგასაყვანი სამუშაოები წარმოებს სხვა გვირაბშიც. ახალ სადგურ „კრასნაია პრესნიას" არქიტექტურა გამოხატავს მოსკოველ მუშათა რევოლუციურ წარსულს და მათს სახელოვან ტრადიციებს.

ამავე დროს მშენებლები მიწისქვეშ მიიწევენ კიევის ვაგზლისაკენ. ეს სამუშაოები წარმოებს ყირიმის მოედნიდან და „კრასნაია პრესნიას" სადგურიდან. ერთსულოვანი კოლექტივი, რომელიც სადგურ „ნოვოსლობოდსკაიას" აშენებდა, ახლა შეუდგა სადგურ „კიევსკაია-კოლცევაიას" მშენებლობას. მისი არქიტექტურული გაფორმება მიეძღვნება საბჭოთა უკრაინის კულტურულ და სამეურნეო აყვავებას.

დიდი რკალის მესამე უბნის სამუშაოებთან ერთად მეტროს მშენებელნი ეწევიან სადგურ „პაველეცკაიას" მიწისქვეშა ვაგზლის რეკონსტრუქციას. მის შუა ნაწილში შენდება დიდი დარბაზი სვეტების ორი მწკრივით. მიწისქვეშა ვაგზლის მეტ ნაწილში უკვე ამოღებულია გრუნტი და დადგმულია სვეტები. დაიწყო მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დამთავრებულია გადასასვლელის მშენებლობა, რომელიც გორკის რადიუსის სადგურ „პაველეცკაიას" შეუერთებს „პაველეცკაია-კოლცევაიას". რკალური სადგურის ვესტიბიულში დამონტაჟებულია სამი ახალი ესკალატორი. მგზავრებს ამ ვესტიბიულიდან შეუძლიათ მოხვდნენ გორკის რადიუსის ძველ სადგურზე და მეტროს რკალურ ხაზზე.

მოსკოვის საქალაქო აღმასკომის საარქიტექტურო-საგეგმაო სამმართველომ დაამტკიცა მეტროს სადგურ „პერვომაისკაიას" პროექტი. იგი აშენდება არსებულ სადგურ „იზმაილოვსკაიადან" ერთნახევარ კილომეტრ მანძილზე. ყოველი მეორე მატარებელი ივლის ახალ სადგურამდე. მეტროს ხაზი ამ უბანზე გაყვანილია მიწის ზედაპირზე.

ახალი სადგური „პერვომაისკაია" მოსკოვში მეტროს პირველი მიწისზედა ვაგზალია. ეს იქნება მსუბუქი თაღოვანი შენობა მინის კამარით. მის ცენტრში გაკეთდება 130 მეტრი სიგრძის ბაქანი.

უახლოეს ხანში მეტროს მშენებლები იწყებენ მეტროს ახალი სადგურის „პერვომაისკაიას" აგებას. (საკდესი).

## ვესიოლის სატუმბავი სადგურის ამუშავების წინა დღეები

ვესიოლი (როსტოვის ოლქი), 21 მარტი. (საკდესი). ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა აზოვის არხის მშენებლობაზე. გაზაფხულზე იგი გადაცემულ უნდა იქნას საექსპლოატაციოდ.

ვესიოლის უდიდეს წყალსაცავთან, საიდანაც წყალს მიიღებს აზოვის არხი, მთავრდება დიდი სატუმბავი სადგურის მშენებლობა. სადგურის შენობაში შესრულებულია ბეტონის ყველა ძირითადი სამუშაო. წარმატებით მიმდინარეობს სამონტაჟო სამუშაოებიც. მილსადენის ოთხი ხაზიდან ერთი ხაზი უკვე სავსებით მზად არის. დადგმულია პირველი ტუმბო. გუშინ მშენებლები შეუდგნენ დანარჩენი სამი ტუმბოს მონტაჟს. ამავე დროს გაჰყავთ მილების მეორე ხაზი. მეექსკავატორეებს ამოაქვთ მიმყვან არხში უკანასკნელი რამდენიმე კუბური მეტრი გრუნტი.

ამუშავების წინა დღეები დაუდგათ იმ ელექტროქვესადგურის მშენებლებსაც, რომელიც აამოძრავებს სატუმბავ აგრეგატებს. სტახანოვურად შრომობენ მიწისმთხრელი მანქანების ეკიპაჟები. აზოვის არხის 60 კილომეტრის სიგრძის ნაკვეთზე ისინი ამთავრებენ მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. აქვე დასასრულს უახლოვდება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მონტაჟი.

## ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიაში

19 მარტს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიაში დამთავრდა მემცენარეობის სექციის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც სამ დღეს გასტანა. განხილულ იქნა კარტოფილის საზაფხულო რგვის გაფართოების საკითხები. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, აგრონომებმა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებმა, აგრეთვე მოწინავე მეკარტოფილეებმა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სამინისტროების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოხსენება გააკეთეს, ილაპარაკეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე კარტოფილის საზაფხულო თესვის შედეგებისა და წლევანდელი თესვისათვის მზადების შესახებ. პლენუმმა მოისმინა აგრეთვე მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენელთა ინფორმაციები, რომლებმაც მოახსენეს პლენუმს კარტოფილის საზაფხულო თესვის გაფართოების სამუშაოთა შედეგების შესახებ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა კაცმა. სტავროპოლის მხარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ამხ. ნესტერენკომ განაცხადა, რომ კარტოფილის საზაფხულო თესვა უფრო უხვ მოსავალს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი. ამის მიზეზით კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია თესლით და იგი მას აღარ შემოაქვს. წელს სასოფლო-სამეურნეო არტელს დასახული აქვს დათესოს 600 ჰექტარი კარტოფილი, აქედან თითქმის მეხუთედ ნაწილს საზაფხულო თესვა დაიკავებს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილის საზაფხულო თესვას. (საკდესი).

## ბათუმის პოლიტიკური დემონსტრაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

21 მარტს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომების დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სესია. სესია მიეძღვნა 1902 წელს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი ბათუმელი მუშების გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაციის 50 წლისთავს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. ნანიტაშვილი, გ. ჯიბლაძე, ა. ჯიშიაშვილი, ძველი მუშა რევოლუციონერი ა. ზაკომოლდინი და სხვები.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ამხ. ა. ჯიშიაშვილმა.

მოხსენება თემაზე „მრეწველობის ზრდა და მუშათა მოძრაობა ბათუმში 1890-1900 წლებში" გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კიკვიძემ.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. გეგეშიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე „ი. ბ. სტალინი — ბათუმელი მუშების 1902 წლის 22 მარტის პოლიტიკური დემონსტრაციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი".

თემას „ბათუმის 1902 წლის 22 მარტის ამბების გავლენა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე" მოხსენება მიუძღვნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ბერიძემ.

სამეცნიერო სესიის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება დიდი სტალინისადმი. (საქდესი).



ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სტახანოველი, ჯართის ჩქაროსნული ჩატვირთვის ოსტატი რომან ცაბუტიშვილი

## როგორ ვაწარმოებ ჯართის ჩქაროსნულ ჩატვირთვას

რომან ცაბუტიშვილი

მარტენის ღუმელებში ჯართის სწრაფად ჩატვირთვა ფოლადის დნობის ხანგრძლივობის შემცირების მნიშვნელოვანი პირობაა.

ყველა საწარმოო ოპერაციის ღრმად შესწავლით, აგრეთვე ფოლადისა და ჩამტვირთავი მანქანის მუშაობაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შევიმუშავე ჯართის ჩატვირთვის ჩქაროსნული მეთოდი. ახალი მეთოდით განსაზღვრული რაოდენობის ჯართს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 3 საათისა 1 საათსა და 50 წუთში ვტვირთავ მარტენის ღუმელში. **ჯართის ჩქაროსნული ჩატვირთვის მეთოდის უპირატესობა იმაშია, რომ ჩატვირთვის დაჩქარებასთან ერთად იგი ხელს უწყობს მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოდნობასაც.**

ცვლის მიღებისას ყურადღებით ვამოწმებ ჩამტვირთავი მანქანის თვითეულ ნაწილს, რომ მუშაობის დროს თავიდან იქნას აცილებული ავარიის ან მოცდენის რაიმე შემთხვევა. ამასთან დაწვრილებით ვსწავლობ წინა ცვლის მიერ შესრულებულ და ახალ ცვლაში შესასრულებელ სამუშაოთა გრაფიკს, აგრეთვე ყურადღებით ვეცნობი მარტენის ღუმელების მუშაობის განრიგს. ეს იმიტომ, რომ ერთ ღუმელში ჩატვირთვის დამთავრებიდან მეორე ღუმელში ჩატვირთვის დაწყებამდე დარჩენილი დრო რაციონალურად გამოვიყენო ჩამტვირთავი მანქანის წესრიგში მოსაყვანად. ამაზე წინასწარ ვუთანხმდები ღუმელის ოსტატს ან ცვლის უფროსს და ხშირად აღნიშნულ დროში მანქანის პროფილაქტიკურ რემონტსაც ვასწრებ.

ახლებურად მუშაობის წარმატების ძირითად პირობას წარმოადგენს ჯართის ეზოს ბრიგადირთან და მეფოლადეებთან შეთანხმებული მუშაობა, ჩატვირთვის ტექნოლოგიის კარგად ცოდნა და შრომის სწორი, მოფიქრებული ორგანიზაცია. წინასწარ ვამოწმებ ჯართის სახეობას და მოვითხოვ ჯართი როფებზე ისეთი თანმიმდევრობით დატვირთონ, რომ შესაძლებელი გახდეს ღუმელში ჯერ წვრილი, შემდეგ კი მსხვილი ლითონის ნაჭრების ჩატვირთვა.

როფებზე ჯართის თანმიმდევრობით განაწილებით იმას ვაღწევ, რომ საჭირო არ ხდება ეშელონის ხშირად გადანაცვლება. დიდ ყურადღებას ვაქცევ აგრეთვე როფების ნორმალურად დატვირთვას, რომ მათში ჯართი უწესრიგოდ და ზომაზე მეტად არ იყოს ჩაყრილი.

ჯართით დატვირთული როფის ღუმელში შეტანისას ვცდილობ მანქანის ხორთუმი ზუსტად იქნას მიმართული ღუმელის ფანჯრის ცენტრისაკენ და ამით თავიდან იქნას აცილებული ღუმელის მოსალოდნელი დაზიანება. ღუმელში შეტანილ სავსე როფს ვცლი მანქანის ხორთუმის მარჯვნივ და მარცხნივ მოტრიალებით. ამის შედეგად ჯართი ღუმელის ორივე მხარეს თანაბრად იყრება. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ თუ ჯართი ღუმელში არათანაბრად, ამობურცული ფორმით იქნა განლაგებული, ეს უარყოფითად იმოქმედებს ღუმელზე და ამავე დროს გაახანგრძლივებს დნობის პროცესს. ღუმელის ქვედის დაზიანება თავიდან რომ ავიცილო, ამისათვის მძიმე წონის ლითონის ნაჭრებს განსაკუთრებული სიფრთხილით ვაწყობ ღუმელში. ამასთან ასეთ ნაჭრებს ღუმელის ცენტრში, უკანა კედელთან ახლოს ვალაგებ, რაც უზრუნველყოფს მათ სწრაფ დნობას.

ღუმელიდან გამოტანისას ცარიელ როფს ვაბრუნებ და ფსკერს ქვევით ვუქცევ. ასეთი მუშაობით თვითეულ როფზე 4 წამის ეკონომიას ვაღწევ. თვითეული ღუმელის ჩატვირთვისას მსგავსი ოპერაცია 120-140-ჯერ მეორდება და ამ ხნის განმავლობაში დაზოგილი დრო 9 წუთზე მეტს შეადგენს. ჩემი წინადადებით მარტენის ღუმელის ჩასატვირთავი ფანჯარა მხოლოდ დატვირთული როფის ღუმელთან მიახლოვებისას იღება და მაშინვე იკეტება, როგორც კი ჩამტვირთავი მანქანა ცარიელ როფს ღუმელიდან უკან გამოიტანს. ამით იმას ვაღწევ, რომ ჩატვირთვისას ღუმელიდან ზედმეტი ტემპერატურა არ იკარგება.

როფებით დატვირთულ ვაგონებს დროის დაუკარგავად გადავანაცვლებ ხოლმე ღუმელის ერთი ფანჯრიდან მეორესთან, და არ ვუცდი ეშელონის მთლიანად დაცლას. ცარიელი როფებით დატვირთულ ვაგონებს წინასწარ ვხსნი ეშელონს და თავისუფალ გზაზე მივაგორებ, აქედან კი სპეციალურ ორთქლმავალს ვაგონები კვლავ ჯართის ეზოსთან მიაქვს. ამით აღმოფხვრილია ვაგონების მოცდენა.

მარტენის საამქროში შექმნილია სტახანოვური სკოლა, სადაც ჩამტვირთავი მანქანის მემანქანეები სწავლობენ ჯართის ჩატვირთვის ჩქაროსნულ მეთოდს. მემანქანეები გ. ხუციშვილი, ვ. წულაია, მ. დულაშვილი, ვ. მიქავა, ლ. პასიაშვილი, ვ. ზურაბაშვილი და სხვები, მუშაობენ რა ჩქაროსნული მეთოდით, ღუმელში ჯართს ორ-ორნახევარ საათში ტვირთავენ და ამით მნიშვნელოვნად აჩქარებენ ფოლადის დნობას. ამის შედეგად საამქროში შესამჩნევად გაიზარდა ფოლადის ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი. **თუ გასული წლის მეოთხე კვარტალში 150 ჩქაროსნული დნობა იქნა განხორციელებული, მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი 230-ს აღემატება.**

შევასწავლოთ ჯართის ჩატვირთვის ჩქაროსნული მეთოდი ჩამტვირთავი მანქანის ყველა მემანქანეს — ასეთია მარტენის საამქროს კოლექტივის საბრძოლო ამოცანა.

# გორის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

გორის მესამე საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში შედგა, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. რომელაშვილმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა და დახმარება სამრეწველო საწარმოებისა და ახალი მშენებლობებისადმი. ამის შედეგიც არის, რომ წლიური საწარმოო გეგმები საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს საკონსერვო, საყუთე-სატარე და ასფალტ-ბეტონის ქარხნებმა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა და ხორცკომბინატმა. საფეიქრო კომბინატმა სახელმწიფოს უკვე მისცა 700-მდე ტონა ნართი და 1,5 მილიონამდე მეტრი წმინდა ქსოვილი. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები ბამბეულის ქსოვილების კომბინატის, მუზეუმის მშენებლობის კოლექტივებმა.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა ილაპარაკეს ქალაქის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ნაწილი საჭირო კონტროლსა და დახმარებას არ უწევდა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, რის გამო გასული წლის საწარმოო და სამშენებლო გეგმების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ შპალის საჟღენთი ქარხანა, ხორცკომბინატის მაცივრის მშენებლობა და „საქმშენის" გორის კანტორა.

საკონსერვო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა დ. სურამელაშვილმა აღნიშნა, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელად უფრო ღრმად სწვდება საწარმოო საკითხებს, აქტიურად იბრძვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. ქარხანამ დიდ წარმატებებს მიაღწია — მაღალი ხარისხის პროდუქციის გამომშვები ქარხნის სახელწოდება მოიპოვა და საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა შეინარჩუნა. ამხ. სურამელაშვილმა გააკრიტიკა საქალაქო კომიტეტის პარტიული კაბინეტი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს პარტიულ აქტივს ლიტერატურითა და მაღალკვალიფიციური ლექციების მოწყობით.

ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შესახებ ილაპარაკა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ქ. დათუნაშვილმა.

— პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილებები, — თქვა მან, — კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს. კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებს ცუდად ეხმარებიან „საქმშენის" გორის კანტორის, ხორცკომბინატის მაცივრის, ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის, კავშირგაბმულობის გორის განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

გორის საავადმყოფო-პოლიკლინიკის პარტბიუროს მდივანმა ვ. ფიდიურმა გააკრიტიკა „საქმშენის" გორის კანტორის ხელმძღვანელობა, რომლის მოუქნელი მუშაობით დანაშაულებრივად ჭიანურდება ახალი საავადმყოფოს საექსპლოატაციოდ გადაცემა.

კონფერენციის ბევრმა მონაწილემ გააკრიტიკა „საქმშენის" რესპუბლიკური ტრესტის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც სუსტად ეხმარებიან გორის მშენებლობებს. „საქმშენის" რესპუბლიკური ტრესტის ხელმძღვანელობა მხოლოდ ცირკულარების წერით ირთობს თავს და კონკრეტულ დახმარებას არ უწევს თავის კანტორას გორში. ასევე იქცევა ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობა, რომლის მოუქნელი მუშაობით ჭიანურდება ხორცკომბინატის მაცივრის მშენებლობა გორში.

გორის ახალმშენებლობათა უზრუნველყოფა პროექტებით უგულებელყოფილია „საქსახპროექტის" მიერ. წლობით ჭიანურდება ცალკეული სამშენებლო ობიექტების პროექტების შედგენა. ამ საქმეს საჭირო ყურადღებას არ უთმობს „საქსახპროექტის" მმართველი ა. ლომინაძე. გორის მშენებლობათა პროექტების შედგენაში ჩაბმული არ არიან საუკეთესო არქიტექტორები. დაპროექტებას ძირითადად აწარმოებს მხოლოდ არქიტექტორი ამხ. სუმბაძე, რომლის მიერ შედგენილი ზოგიერთი პროექტი უხარისხო და უვარგისია.

კონფერენციის დელეგატებმა ილაპარაკეს გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი განყოფილების, აგრეთვე სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კონფერენციამ მიიღო ღონისძიებანი და აირჩია საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

საქალაქო კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. რომელაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ნ. ლაზარაშვილი, მდივნად — ამხ. ნინო ურჯუმელაშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. გიგოშვილმა.

საქართველოს პროფსაბჭოში

# ჯანმრთელობის დაცვის კერებში მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მოსკოვის საკურორტო სამმართველოს სანატორიუმ „მინინის" კოლექტივის თაოსნობის საფუძველზე რესპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შარშან მოწყობილი კვირაობების შედეგები. გამოირკვა, რომ ზოგიერთი სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის მომსახურე პერსონალმა კვირაობებში მონაწილეობით თვალსაჩინო სამუშაოები განახორციელა, რითაც გააუმჯობესა დამსვენებელთა მომსახურება და მრავალი ათასი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

მაგალითად, წყალტუბოს პირველი სანატორიუმის კოლექტივმა მარტო ინვენტარის შეკეთებით გასწია 8.500 მანეთის ეკონომია. გარდა ამისა, სანატორიუმის ელექტრომონტიორმა ამხ. გურაზაშვილმა სამუშაოდან თავისუფალ დროს სხვადასხვა ჩამოწერილი ნაწილებიდან გააკეთა 3.200 მანეთად ღირებული ჭაღი. აბასთუმნის სანატორიუმში აღადგინეს 75 ცალი ჩამოწერილი სკამი, რაც 1.250 მანეთის ეკონომიას უდრის. ბორჯომ-პლატოს დასასვენებელი სახლის კოლექტივმა შეაკეთა კორპუსთაშორისი მისასვლელი გზები 650 მეტრზე, აგრეთვე ინვენტარი და 3.550 მანეთის ეკონომია გასწია. სხვადასხვა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ეზოებში დაირგო 3.000-ზე მეტი ძირი ხე და დეკორაციული მცენარე, მოეწყო ყვავილნარები.

პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საკურორტო, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რესპუბლიკურ სამმართველოს წინადადება მისცა სათავეში ჩაუდგეს და ფართოდ გაავრცელოს ეს ინიციატივა რესპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

სამედიცინო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ადგილკომებს დაევალათ სანატორიუმების მთავარ ექიმებთან და დასასვენებელი სახლების დირექტორებთან ერთად უახლოეს დროში მოიწვიონ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზეც განიხილონ სანატორიუმ „მინინის" კოლექტივის თაოსნობასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა; დასახონ ღონისძიებანი შინაგანი რეზერვების უფრო ფართოდ გამოყენებისა და კოლექტივების ინიციატივის საფუძველზე ჯანმრთელობის დაცვის კერებში მშრომელთა მომსახურებისა და მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

# მშენებლობის შემდგომი გაიაფებისათვის

1951 წელს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა გეგმის შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თვითღირებულების შემცირება, ასორტიმენტის გაფართოება. ეს წარმატებანი მოპოვებულია მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებით, რომლებიც მიმართული იყო წარმოების ტექნიკური დონისა და კადრების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისაკენ.

შარშან მშენებლობის გაიაფებისათვის მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ იყო გაჩაღებული. მშენებლობებზე დაინერგა ინდუსტრიული მეთოდები, ფართოდ იქნა გამოყენებული მზა საშენი დეტალები, ნახევარფაბრიკატები, კონსტრუქციები, კომპლექსური მომარაგება მასალებით და მათი ეკონომიური ხარჯვა.

ამ მიმართულებით გასულ წელს კარგი შედეგები მოიპოვეს საქართველოს წამყვან მშენებლობებზე. გეგმასთან შედარებით სამუშაოთა ღირებულება შემცირდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, საქენერგოს მშენებლობებზე. თვალსაჩინო ეკონომიას მიაღწიეს მშენებლობის გაიაფებაში საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის, ტრესტ „კაველექტრომონტაჟის" თბილისის სამონტაჟო სამმართველოს და სხვა მოიჯარე მშენებელმა ორგანიზაციებმა.

ამასთანავე არიან ისეთი მშენებლობები და მშენებელი ორგანიზაციები, რომლებმაც ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა პარტიისა და მთავრობის მითითებათა საფუძველზე და დაუშვეს მშენებლობის გაძვირება. ამათ რიცხვს ეკუთვნიან მშენებლობანი, რომელსაც ახორციელებენ ტრესტი „საქელექტროქსელმშენი", საქკვებმშენი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საქალაქო მშენებლობის სამმართველო, საქშახტმშენი, საქნავთი და საქართველოს შამპანკომბინატი.

დადასტურებულია, რომ მშენებლობის გაძვირება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ სრულდება სამუშაო გეგმა (ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საქალაქო მშენებლობის სამმართველო, „საქელექტროქსელმშენი", საქკვებმშენი). მიუხედავად ამისა, იშვიათი როდია, როცა მშენებლობის ღირებულების გადიდებას ვხვდებით გეგმის შესრულების შემთხვევაშიც. ასეთ პირობებში ჩვეულებრივ გეგმის შესრულებას და „გადაჭარბებას" აღწევენ სამუშაოთა ღირებულების გადიდების, ხარისხის გაუარესების, ანდა მეორეხარისხოვან, მუშაობისათვის უფრო „ხელსაყრელ" სამუშაოთა შესრულებით, რაც გეგმის შესრულების დიდ ზრდას იწვევს.

არსებითი ნაკლოვანებანი არის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობაში.

ამ ნაკლოვანებებიდან უნდა აღინიშნოს 1951 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შეუსრულებლობა 13 პროცენტით; ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული შვიდი ობიექტისა, მხოლოდ სამი ობიექტის გადაცემა საექსპლოატაციოდ; გადახარჯვა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებში და კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებიდან ათობით მილიონი მანეთის იმობილიზაცია მშენებლობის ბრუნვითს აქტივებში.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ობიექტების აუმუშავებლობის გამო 1951 წელს კაპიტალური დაბანდების დაუმთავრებელი ნაშთი 57 მილიონი მანეთით გაიზარდა, რაც იმას ადასტურებს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტში უდიდესი გამოუყენებელი რეზერვებია, რომლებიც აუცილებლად უნდა ამოქმედდეს მიმდინარე წელს.

ტრესტის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ და გააძლიერონ ხელმძღვანელობა სამმართველოების, განსაკუთრებით ქალაქმშენის მიმართ, რომელმაც 1951 წლის სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 61 პროცენტით შეასრულა და შეაფერხა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი და ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნებისათვის მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელოს ქალაქმშენის სამმართველოს მიერ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების აღმოსაფხვრელად. ეს მიზეზებია: სამშენებლო ობიექტების არასაკმაო მომარაგება ზოგიერთი ძირითადი საშენი მასალებით და სატრანსპორტო საშუალებებით, მშენებელი მუშებისათვის საკუთარი საბინაო ფონდის, აგრეთვე საკუთარი ლიანდაგსმახლობელი და საწარმოო ბაზების უქონლობა, შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, სამშენებლო ობიექტების არასრული უზრუნველყოფა ტექნიკური დოკუმენტაციით.

დიდ ნაკლოვანებას წარმოადგენს მშენებლობის გაჭიანურება და საბინაო მშენებლობის დაბალი ხარისხი რუსთავსა და ტყვარჩელში, აგრეთვე ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მშენებლობებზე. ბათუმის ხორცკომბინატის მშენებლობა 1950 წლიდან გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში სამუშაო გეგმა შესრულებულია მხოლოდ 54 პროცენტით.

კარგი მუშაობის მაგალითს წარმოადგენს ორთაჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. უახლესი მექანიზმებისა და მუშაობის სრულქმნილი მეთოდების უნარიანი გამოყენებით ორთაჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და საპატიო ადგილი დაიკავეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ორთაჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობის მაგალითმა უნდა აამაღლოს შემოქმედებითი ინიციატივა რესპუბლიკის სხვა მშენებლობებზე, განსაკუთრებით ჩამორჩენილ მშენებლობებზე.

მშენებელმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაითვალისწინონ გასული წლის ნაკლოვანებანი და მთელი ენერგიით იბრძოლონ მიმდინარე წელს უფრო უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად, მიაღწიონ როგორც მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, ისე მშენებლობის ღირებულების შემდგომ გაიაფებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

**გ. მელქუმოვი**

სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი ინსპექტორი

# ჩინელი მწერლები საქართველოში

ხუთი [illegible] ჩინელმა [illegible] მის ლაურეატმა დინ ლინმა და ცაო ეუიმ. ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის იუბილეს დღესასწაულზე დასასწრებად.

სტუმრებმა დაათვალიერეს ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული თბილისის ისტორიული ადგილები, ინახულეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ესტუმრნენ სტალინის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების პარკს, ინახულეს საქართველოს მწერალთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა პანთეონი. ჩინელი მწერლები ეწვივნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თბილისის ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს; დაათვალიერეს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი და თბილისის წყალსაცავი.

ჩინელი მწერლები გაემგზავრნენ გორში, სადაც დაათვალიერეს სახლი, რომელშიც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა. ისინი იყვნენ აგრეთვე ქალაქ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს საქართველოს არქიტექტურის ძველი ძეგლები და საგურამოში, სადაც ინახულეს დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი.

23 მარტს სტუმრები თბილისიდან სოხუმს გაფრინდნენ.

საქტესის კორესპონდენტთან საუბარში ჩინელმა მწერალმა ქალმა სტალინური პრემიის ლაურეატმა დინ ლინმა განაცხადა:

— ტერიტორიით პატარა ქვეყანა საბჭოთა საქართველო უდიდეს შემოქმედებითს მუშაობას ეწევა მშვიდობის საკეთილდღეოდ, ხალხის საკეთილდღეოდ. ამას მოწმობენ ჩვენ მიერ დათვალიერებული სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა და საქართველოს სხვა ახალმშენებლობანი. ჩვენ საქართველოში ვგრძნობდით გულითად, ძმურ მიღებას, ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით გვეპყრობოდნენ. საქართველო პოეზიის ქვეყანაა, მდიდარი ხალხური კულტურის ქვეყანაა. ეს ქვეყანა არ შეიძლება დაივიწყო. აქ დაიბადა და თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა. სამშობლოში დაბრუნებისას მე შევეცდები დავწერო ნარკვევები საქართველოს ცხოვრების შესახებ.

ჩვენ ჯერ კიდევ მოსკოვში ვიყავით, როცა შევიტყვეთ ამერიკელ კაციჭამიათა დანაშაულებრივი ბოროტმოქმედებანი კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ, თუ რა აღშფოთებით და ერთსულოვნად აცხადებენ პროტესტს საბჭოთა ადამიანები ამერიკელი ბარბაროსების ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. მსოფლიოს ხალხები არასოდეს არ აპატიებენ ამერიკელ აგრესორებს ბაქტერიოლოგიური ომის გაჩაღებას. ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი ურღვევი მეგობრობა ჩინეთის ხალხებთან მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე გარანტიაა. (საქტესი).

# რკინიგზის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამიერკავკასიის რკინიგზის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკას 124.822 ეგზემპლარი პოლიტიკური, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული წიგნი აქვს. მარტო შარშან 10.000 მანეთის სხვადასხვა ლიტერატურა შეიძინეს. ყოველდღიურად იღებენ 23 სახელწოდების სხვადასხვა გაზეთს, აგრეთვე ყოველთვიურად — 25 სახელწოდების ჟურნალს. გასულ წელს ბიბლიოთეკამ მომსახურება გაუწია 140.328 მკითხველს, წიგნით ისარგებლა 110.066 კაცმა. დღეისათვის ბიბლიოთეკას 13.000-მდე მუდმივი მკითხველი ჰყავს.

ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა მკითხველთა საუბრები, კონსულტაციები, კონფერენციები და გამოფენები, რაც ხელს უწყობს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პოლიტიკური და ტექნიკური ცოდნის ამაღლებას.

პარტიულ თემაზე

# რაიკომი კონკრეტულად არ ეხმარება პირველად ორგანიზაციებს

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან სათავეში ედგნენ მშრომელებს სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი აღმავლობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია ისეთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კარგად ხელმძღვანელობს სოფლის ეკონომიური და კულტურული წინსვლის საქმეს, დაუღალავად იბრძვის კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე ვერ დგანან, უნარიანად ვერ რაზმავენ კოლმეურნე გლეხობას პარტიისა და მთავრობის მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის, არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებისა და კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად ყოველწლიურად ქვეითდება სოციალისტური მეურნეობის კულტურა, მცირდება საკოლმეურნეო შემოსავალი.

მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, 1950 წელს 1951 წელთან შედარებით აქ თამბაქოს ნათესის თვითეულ ჰექტარზე მეტი და უკეთესი ხარისხის თამბაქო მიიღეს, უფრო მეტი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ხილი მოიყვანეს. 1950 წელს შრომადღეზე ნატურის გარდა 9 მანეთი და 63 კაპიკი განაწილდა, 1951 წელს კი—4 მანეთი და 60 კაპიკი, პროდუქტებიც გაცილებით ნაკლები გაიცა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობას თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ აქ წელსაც არ ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას. ნელი ტემპით და არაორგანიზებულად მიმდინარეობს თამბაქოს პლანტაციისათვის ნაკვეთების მომზადება. აქ კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში 21 კომუნისტი ირიცხება. ეს სერიოზული ძალა სათანადოდ არ არის გამოყენებული იმისათვის, რომ ამაღლებულ იქნას კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა და კოლმეურნეობამ თავი დააღწიოს ჩამორჩენას.

პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. ნოზაძე) საჭიროდ არ თვლის დაეხმაროს კოლმეურნეობის გამგეობას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად დაცვაში, აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებასა და შრომის მოწესრიგებაში. ეს საკითხები აქ კომუნისტების მსჯელობის საგანი არ ხდება. პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის კურსში არ არის. უფრო მეტიც, — პარტორგანიზაციის მდივანმა ისიც არ იცის კარგად, თუ რა შედეგებით დამთავრდა გასული სამეურნეო წელი და რა ამოცანები დგას კოლმეურნეობის წინაშე მიმდინარე წელს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შინაპარტიული მუშაობა. უგულებელყოფილია კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების, პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების, საგიტაციო მუშაობის, კომკავშირისადმი დახმარებისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საკითხები. მიმდინარე სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ შეუმოწმებია და არ განუხილავს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მუშაობის საკითხი. ეს იმ დროს, როცა პოლიტსკოლის მსმენელთა დიდი უმრავლესობა სისტემატურად აცდენს მეცადინეობას, დაბალია მეცადინეობის იდეური დონე. პარტიული კრების მნიშვნელობის შეუფასებლობით უნდა აიხსნას, რომ აქ კრებისათვის გულდასმით არ ემზადებიან. დღის წესრიგში ხშირად ისეთი საკითხები შეაქვთ, რომლებიც წინასწარ არ არის შესწავლილი და მომზადებული. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველა კრების იდეური დონე დაბალია. კომუნისტები იშვიათად გამოდიან სიტყვებით, არ მსჯელობენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე, არ აყენებენ საქმიან წინადადებებს.

მივიწყებულია საგიტაციო მუშაობაც. აგიტატორები ეპიზოდურად აწყობენ საუბრებს კოლმეურნეთათვის საინტერესო საკითხებზე. ხშირად გაზეთებში გამოქვეყნებული მოკლე ინფორმაციების ხმამაღლა კითხვით კმაყოფილდებიან. აგიტატორთა დასახმარებლად იშვიათად ეწყობა სემინარები, მათ არ ეხმარებიან საუბრის თემების შერჩევაში, არ აწვდიან საჭირო ლიტერატურას. პარტიულ ორგანიზაციას აგიტატორთა მუშაობის ზუსტი აღრიცხვაც კი არა აქვს.

ამავე რაიონის სოფელ კელასურის გამსხვილებულ კოლმეურნეობა „წინსვლას" ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში იდგეს. მას დიდი რაოდენობით აქვს მაღალმოსავლიანი მიწა, ხეხილის ბაღები, საძოვრები. ამასთან კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია საჭირო მუშახელით. მაგრამ ყველა ეს ხელსაყრელი პირობა დღემდე სათანადოდ არ არის გამოყენებული იმისათვის, რომ განუხრელად იზრდებოდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი პ. კოპალიანი), რომელიც 18 კომუნისტს აერთიანებს, ღრმად ვერ სწვდება საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას, სათავეში არ უდგას კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას, სათანადოდ ვერ რაზმავს მათ კოლმეურნეობის ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისათვის.

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად კოლმეურნეობაში არ იგრძნობა პარტიული ორგანიზაციის დამრაზმავი ძალა, კომუნისტები საკოლმეურნეო შრომის ავანგარდში არ დგანან.

ამ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ გასული წლის 11 ნოემბერს პარტიის სოხუმის რაიკომის პლენუმმა მოისმინა პარტბიუროს მდივნის ამხ. კოპალიანის მოხსენება. პლენუმზე გამოაშკარავებულ იქნა, რომ აღნიშნული პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი პარტიულ კონტროლს, არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს საagitაციო მუშაობას, არ ეხმარება კომკავშირულ ორგანიზაციას, არ მუშაობს ახალგაზრდა კომუნისტებთან, ყურადღებას არ აქცევს ლექციურ პროპაგანდას, პარტიაში არ იღებს იმ კოლმეურნეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში და სხვ.

პლენუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს პარტიული მუშაობის უკეთ დაყენებაში. პლენუმმა კონკრეტული ღონისძიება დაუსახა ამ კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას. მიუთითა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებაზე. მოსალოდნელი იყო, რომ პარტიის რაიკომი ბოლომდე მიიყვანდა საქმეს, არ დაკმაყოფილდებოდა პლენუმზე მხოლოდ ანგარიშის მოსმენითა და ღონისძიებათა დასახვით, შეამოწმებდა პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელების მიმდინარეობას, კონკრეტულად დაეხმარებოდა პარტიულ ორგანიზაციას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. პლენუმის დადგენილების მიღებიდან უკვე 5 თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რაიკომს ერთხელაც არ შეუმოწმებია პლენუმის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა.

პარტიულ ორგანიზაციას რაიკომის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად თავის მხრივ დღემდე არავითარი ღონისძიება არ განუხორციელებია, პლენუმის გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე ერთხელაც არ განუხილავს კომკავშირის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხი, არცერთი კოლმეურნე არ მიუღია პარტიის რიგებში, არ ახორციელებს პარტიულ კონტროლს, მივიწყებულია საagitაციო მუშაობა.

ამასთან გამოირკვა ისიც, რომ პლენუმისათვის მზადების პროცესში პარტიის რაიკომს არ შეუსწავლია პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „არასაკმაო ყურადღება ექცევა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას, ორგანიზაციაში ირიცხებიან სტაჟგადაცილებული კომუნისტები". სინამდვილეში 1951 წლის ნოემბრისათვის მხოლოდ ერთ კაცს შეუსრულდა საკანდიდატო სტაჟი.

პარტიის რაიკომის მუშაკებს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა რომ სათანადოდ შეესწავლათ, ნახავდნენ, რომ ამ კოლმეურნეობის კომუნისტებს წლების მანძილზე პარტიული დავალება არა აქვთ, ნახავდნენ იმასაც, რომ გასული წლის სექტემბრიდან დღემდე პარტიული ორგანიზაცია უგეგმოდ მუშაობს, ხოლო რაიკომის პლენუმის დადგენილებაში ამ ნაკლოვანებათა შესახებ არაფერია ნათქვამი.

1951 წლის 28 დეკემბერს პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ ბესლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. რაიკომის ბიუროს დადგენილებაში მითითებულია ამ ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. როგორც შემოწმებამ ცხადყო დასახელებული პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობდა არა მარტო რაიკომის ბიუროს დადგენილებამდე, არამედ მას შემდეგაც. პარტიის რაიკომი საკითხის განხილვის შემდეგ ერთხელაც არ დაინტერესებულა შეემოწმებინა, თუ როგორ სრულდება მის მიერ მიღებული დადგენილება.

პარტიის რაიკომის მუშაობაში სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ რაიკომის განყოფილებები უგეგმოდ მუშაობენ. მართალია, ისინი ყოველთვიურად ადგენენ გეგმას, ამტკიცებენ რაიკომის ბიუროზე, მაგრამ შემდეგში არ ზრუნავენ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ფორმალურად უდგებიან საქმეს. მაგალითად, რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილებას მიმდინარე წლის იანვარში უნდა შეემოწმებინა, თუ როგორ ახორციელებენ პარტიულ კონტროლს სოფელ ეშერის სტალინისა და ჯანაშიას სახელობის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში. აგრეთვე გათვალისწინებული იყო, რომ შეესწავლათ პარტიაში მიღების საკითხი სოფელ კელასურის ბარათაშვილის სახელობისა და „წინსვლის" კოლმეურნეობაში. უნდა შეემოწმებინათ და პარტიის რაიკომის ბიუროზე მოესმინათ მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობენ კომკავშირულ ორგანიზაციებს სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნისა და სუხუმჰესის პირველადი პარტიული ორგანიზაციები და სხვ. სინამდვილეში ამ განყოფილებას გეგმის მიხედვით თითქმის არცერთი საკითხი არ შეუსწავლია. ასევე ფორმალურად უდგება გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის და ზოგიერთი სხვა განყოფილება.

არასწორად უნდა მივიჩნიოთ ისეთი პრაქტიკა, როცა რაიკომის მუშაკები, მართალია, ხშირად დადიან კოლმეურნეობებში, მაგრამ საჭიროდ არ თვლიან პირველ რიგში პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარონ და ძირითადად მხოლოდ სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელთა როლში გამოდიან.

„ადგილობრივი პარტიული ორგანოების მოღვაწეობაში მთავარია პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამავე დროს ცალკეული საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველთვის სწორად როდი ახამებენ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების განმტკიცების ნაცვლად პარტიული კომიტეტები ხშირად მათი შეცვლის გზას ადგებიან, ცდილობენ პარტიული აპარატის ძალებით გადაწყვიტონ მრავალი კონკრეტული სამეურნეო საქმე. ასეთი პრაქტიკა სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც პარტიულ, ისე სამეურნეო მუშაობას". („პრავდა").

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ პარტიის სოხუმის რაიკომი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, არასაკმაოდ ეხმარება მათ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მოწყობაში. ჩანს, არც საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი ეხმარება სათანადოდ პარტიის სოხუმის რაიკომს. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიკომის ხელმძღვანელობა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი უფრო ნაყოფიერი იქნებოდა.

**კ. სიხარულიძე**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# ჩაის ახალი აგროტექნიკის დანერგვის შედეგად

[illegible]

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად შეიმუშავეს ჩაის პლანტაციების აღდგენის ორწლიანი გეგმა. მთელი პლანტაცია სიმძლავრის მიხედვით 3 კატეგორიად დაჰყვეს — იმის მიხედვით, თუ სად როგორი იყო ბუჩქების ზრდა. პირველ ჯგუფს ნორმალური პლანტაციები მიაკუთვნეს, სადაც კრეფდნენ ჩვეულებრივი აგროტექნიკის წესებით. მეორეს—ზრდაში ჩამორჩენილი ანუ ისეთი, რომელიც 15-20 დღით გვიან იკრიფებოდა, ხოლო მესამე კატეგორიისას 30-40 დღით გვიან კრეფდნენ, რათა ამ ხნის განმავლობაში ბუჩქებს უკეთ გაზრდის საშუალება მისცემოდათ. მეორე კატეგორიის ბუჩქებზე კრეფის შემდეგ ნეკზე 4-5 ფოთოლს ტოვებდნენ, ჩვეულებრივად კი 2 ფოთოლი რჩება, ხოლო მესამე კატეგორიისაზე კრეფისას ნეკებზე რჩებოდა 5-7 ფოთოლი.

გარდა ამისა, კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ა. გოგუაძე, აგრონომი ამხ. პ. ჩხაიძე) მიიღო ზომები პლანტაციების სიმეჩხრის აღმოსაფხვრელად, მოაწყო მწკრივთა შორის გამორგვა და გამოთესვა, ამასთან პლანტაციებში საკმაო რაოდენობით შეიტანა მინერალური სასუქები. თუ წინათ პლანტაციას ჯერ სხლავდნენ და შემდეგ სასუქი შეჰქონდათ, ახლა პირიქით გააკეთეს, ჯერ დაახლოებით მარტის პირველ ნახევრამდე აზოტოვანი სასუქი შეიტანეს, შემდეგ კი ბუჩქები გასხლეს.

კოლმეურნეობაში უარყვეს ბუჩქების გვერდებზე გამოსული ყლორტების კრეფა, ბუჩქებს უკეთ გაზრდის და მწკრივთა შორის ერთმანეთთან მიახლოების საშუალება მისცეს. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად გაიზარდა ბუჩქების საექსპლოატაციო ზე- [illegible]

რაც დიდძალ მუშახელს საჭიროებს და ამასთან ადიდებს ფოთლის დანაკარგებს. ეს ახალი ღონისძიება ყველა კოლმეურნეობამ რომ განახორციელოს, მაშინ ჩაის ფაბრიკებს მაის-ივნისში ზოგჯერ ფოთლის მიღება-გადამუშავებაში აღარ ექნებათ დაძაბული მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებით, პროდუქციის ხარისხის გაუარესების შემთხვევები. საყურადღებოა, რომ მაისში გასხლულმა პლანტაციამ თვითეულ ჰექტარზე 200 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი მოგვცა. ახალი ღონისძიებებით პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 1948 წლის 997 კილოგრამის ნაცვლად 1950 წელს 2.379 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს, ხოლო შარშან—3.084 კილოგრამი.

გასულ წელს აქ თვითეული შრომადღის ღირებულება 34 მანეთზე მეტს შეადგენდა.

ყურადღების ღირსია ერთი საკითხიც. ჩვეულებრივი აგროტექნიკური ღონისძიების განხორციელებისას თვითეულ ჰექტარზე მინერალური სასუქის შეტანაზე და პლანტაციების შებარვაზე 24,99 შრომადღე იხარჯებოდა, სულ კი 96 ჰექტარზე — 2.400 შრომადღე. ამ სამუშაოს შეცვლის პირობებში ყოველ ჰექტარზე მხოლოდ 6,81 შრომადღე იხარჯება ანუ სულ 654 შრომადღე. ეს მიღწეულია ახალი აგროტექნიკური ღონისძიების განხორციელების შედეგად.

მეცნიერებისა და პრაქტიკოსთა მუშაობის ეს გამოცდილება სუბტროპიკულ რაიონებში ფართოდ უნდა დაინერგოს.

**ვ. ჯაყელი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## ახალი მშენებლობანი სტალინირში

**სტალინირი.** (საკ. კორ.). მთავრდება რკინიგზელთა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. იგი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი შენობა იქნება ქალაქ სტალინირში.

მალე შესახლდებიან მობინადრეებს მხატვართა ახლადაგებულ საცხოვრებელ სახლში.

დაწყებულია და მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს ახალი შენობის აგება სტალინირის საქალაქო სამრეწველო კომბინატისათვის.

# უფრო მეტი ყურადღება ქალთა შრომის გამოყენებას

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ფართოდ არის გამოყენებული ქალის შრომა და საქმიანობა. თბილისში ცოტა როდია ისეთი საწარმო-დაწესებულება, სადაც ქალები წამყვან ძალას წარმოადგენენ და მუშაობაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ. მაგრამ ქალთა კადრების გამოყენებას და აღზრდა-დაწინაურებას ყველგან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითისათვის დავასახელებთ თბილისის მტკვრის მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტს (მმართველი ა. თვარაძე).

ტრესტში საზოგადოებრივი კვების საქმეს 607 ქალი ემსახურება, რომელთა უმრავლესობა დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ასრულებს. მაგრამ სასადილოებისა და სასაუზმეების გამგებად, აგრეთვე მიმტანებად ქალთა მცირე რაოდენობა მუშაობს, ქალთა დიდი ნაწილი კი ჭურჭლის მრეცხავად და დამლაგებლად არის გამოყენებული. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ თითქოს ქალებს არა სურთ, ან არ შეუძლიათ აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

№ 19 სასაუზმეში (გამგე ე. ლეშკაშელი) 9 თანამშრომლიდან ერთი ქალია — მ. ნატროშვილი, რომელიც დამლაგებლად მუშაობს. მას სავაჭრო დარგში მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს და სურდა სასადილოში მიმტანად ემუშავა, მაგრამ მის სურვილს ანგარიში არავინ გაუწია. მან განაცხადა: ვინ დამაწინაურებს, როცა ამ თანამდებობაზე ორი ახალგაზრდა მამაკაცი მუშაობსო. № 7 რესტორანს (დირექტორი ი. გაგუა) 11 პიროვნება ემსახურება, მათ შორის 3 ქალი. აქ მიმტანად ქალი — ა. დომორნიკოვა მუშაობს, რომელსაც საკმაო გამოცდილება აქვს, მაგრამ შტატის შემცირების გამო სამუშაოდან რატომღაც მას ათავისუფლებენ. აქვე დამლაგებლად მუშაობს ქალი ზ. ლოქაფიშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს არასრული საშუალო სკოლა. ზ. ლოქაფიშვილის გამოყენება სხვა თანამდებობაზე თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ტრესტის ხელმძღვანელობა ამას არათუ არ აკეთებს, არამედ შტატის შემცირების გამო აქედანაც ათავისუფლებს. სპეციფიკური ხასიათის მიხედვით საჩაიეებში მიმტანებად ქალები უნდა მუშაობდნენ, მაგრამ № 67 საჩაიეში ამას არ აკეთებენ. № 16 სასადილოში (გამგე შ. ასამბაძე) შტატით გათვალისწინებული 15 თანამშრომლიდან ერთი ქალია, რომელიც ჭურჭლის მრეცხავად არის გამოყენებული, ხოლო მიმტანად ახალგაზრდა ჟაცი უ. ბერაძე მუშაობს. ასევეა № 23 და № 19 სასაუზმეებსა და № 17 სასადილოში, სადაც მიმტანებად ახალგაზრდა მამაკაცები ვ. გუგეშაშვილი, ე. სხირტლაძე და ი. ნაფლატიევი მუშაობენ.

აღნიშნული ტრესტის სისტემაში „სიცოცხლე“ ერთ-ერთი დიდი რესტორანია. მას 20-მდე თანამშრომელი ჰყავს, მაგრამ ქალთა შრომის გამოყენების საკითხი აქაც მივიწყებულია. ასეთივე მდგომარეობაა № 6 რესტორანში, № 48, № 49 და სხვა სასაუზმეებში.

საზოგადოებრივი კვების სისტემაში მუშაობით ქალებმა თავი გამოიჩინეს. ისინი გეგმის შესრულებისა და კლიენტთა მომსახურების სანიმუშო მაგალითებს იძლევიან. მიუხედავად ამისა, ტრესტის ხელმძღვანელობა არ ზრუნავს ქალთა კადრების დაწინაურებისათვის, მათი შესაფერი სამუშაოს შერჩევისათვის.

კვების დახურულ ქსელში, სადაც ქალთა დაწინაურებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, სასადილოს 36 გამგიდან ქალი მხოლოდ ათია. დამახასიათებელია, რომ სასადილოებში და რესტორანებში დამლაგებლად და ჭურჭლის მრეცხავად წლობით მუშაობს მრავალი ქალი, რომელთაც არასრული საშუალო სასწავლებელი აქვთ დასრულებული, მაგრამ მათი დაწინაურებისათვის სრულიად არ ზრუნავენ.

ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის მარჯვენა სანაპიროს სასადილოების ტრესტში (მმართველი პ. შარაშიძე). ტრესტს 1.013-მდე თანამშრომელი ემსახურება, მათ შორის 545 ქალი, მაგრამ საზოგადოებრივი კვების ღია ქსელში გამგისა და მიმტანის თანამდებობაზე ქალთა გამოყენება უმნიშვნელოა.

რესტორან „სიმპათიაში“ მიმტანთა შორის მხოლოდ ერთი ქალია, № 38 სასაუზმეში 8 თანამშრომელთა შორის 2 ქალია და ისინიც დამლაგებლად ითვლებიან. ზოგიერთ სასაუზმეებში ბრძანებით გაუფორმებელ პირებსაც ამუშავებენ.

ეს ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ კადრების აღრიცხვა-შესწავლის საკითხი მოუგვარებელია. ამ მხრივ საქმე განსაკუთრებით ცუდად არის მტკვრის მარცხენა სანაპიროს სასადილოების ტრესტის კადრების განყოფილებაში. აქ შემოსული განცხადებების დაახლოებით ერთი მესამედი რეგისტრირებული არ არის, განმცხადებლებისათვის პასუხის გაუცემლობა წესად არის გადაქცეული. ტრესტის ხელმძღვანელებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ თვითეული განცხადების უკან საბჭოთა მოქალაქე დგას.

ქალთა დაწინაურებისა და მათდამი დახმარების საკითხში ნაკლოვანებანი თბილისის სასადილოების ტრესტის სისტემამ დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს.

**ა. პატარაია**
**ქ. კაჭახიძე**

# ვიხსნათ კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებისაგან!

## შევაჩეროთ მკვლელთა სისხლიანი ხელი!

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ასობით მუშა, ინჟინერი და მოსამსახურე შეიკრიბა მიტინგზე, რათა თავისი მრისხანე პროტესტი გამოეთქვა ამერიკელ აგრესორთა უმაგალითო ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც კორეასა და ჩინეთში გამოიყენეს ბაქტერიოლოგიური იარაღი.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ქ. გოგელიძემ.

სიტყვა ეძლევა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრს, საქართველოს სახალხო მხატვარს, სტალინური პრემიის ლაურეატს უ. ჯაფარიძეს.

— მთელი მოწინავე კაცობრიობა,— თქვა მან, — დიდად აღშფოთებულია ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებით, რითაც ისინი ცდილობენ გატეხონ გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგობა. ჩვენი სიმპათია კორეელი და ჩინელი ხალხების მხარეზეა. ადამიანთა მასობრივი მოსპობის ორგანიზატორები ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთი საზარელი ბოროტმოქმედებისათვის.

მიტინგზე ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა № 1 მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილემ ლ. გოგიჩაძემ.

— ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავიანთი ბოროტმოქმედებით გადააჭარბეს ჰიტლერელ დამპყრობლებს, — თქვა მან. — ისინი მოკლებული არიან ელემენტარულ ადამიანურ მორალს. ის, რასაც დღეს კორეის მოსახლეობა განიცდის, ამერიკელ ავაზაკებს სურთ ყველა თავისუფალი ხალხის ხვედრი გახადონ. მაგრამ ეს არ მოხდება. ასობით მილიონი ადამიანის გულისწყრომა შეაჩერებს მკვლელთა ხელს. ჩვენი ვალია იმპერიალისტთა ავანტიურებს ვუპასუხოთ თავდადებული სტახანოვური შრომით.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გამოთქვეს თავიანთი გულისწყრომა ამერიკელი განგსტერების უმაგალითო დანაშაულის გამო, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური იარაღი იხმარეს კორეასა და ჩინეთში. (საქდესი).

## თავდადებული შრომით განვამტკიცოთ მშვიდობის საქმე

**ქარელი,** 22 მარტი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმოებში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ.

სოფელ არადეთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა შ. ხუმარაძემ მიტინგზე თქვა:

— თავაწყვეტილი ამერიკელი იმპერიალისტები კორეისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს აყრიან მომაკვდინებელი ბაქტერიებით გატენილ ბომბებს. გულისწყრომისა და აღშფოთების გამოუთქმელად არ შეიძლება იფიქრო ამ საზარელ დანაშაულზე.

ჩვენ, კოლმეურნეებმა, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ვიცით რით უნდა ვუპასუხოთ იმპერიალისტთა ამ დანაშაულს. საჭიროა უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერება.

ახალი შრომითი ვალდებულებები იკისრეს მერგოლეურმა ნ. ტიტვინიძემ, მოწინავე მეჭარხლეებმა ნ. ჯალიაშვილმა, ს. ვალიშვილმა და სხვებმა.

## ზუგდიდელთა ხმა

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში შედგა ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საპროტესტო მიტინგი ამერიკელი აგრესორების მიერ კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ.

ასისტენტმა ი. ჩიქავამ ილაპარაკა იმპერიალისტური ბანაკის დანაშაულებრივ მოქმედებაზე და მოუწოდა მიტინგის მონაწილეებს თავიანთი პროტესტის ხმა შეუერთონ მშვიდობისმოყვარე მილიონობით ადამიანთა ხმას.

ამერიკელ აგრესორთა ახალი დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ სიტყვები წარმოთქვეს დოცენტებმა ლ. კვაჭაძემ და გ. გაბედავამ, უფროსმა მასწავლებელმა შ. დადიანმა, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრიადოსანმა სტუდენტმა გ. ქებურიამ და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ძლიერების განსამტკიცებლად, უკეთესად დააყენებენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

ზუგდიდის ვაჟთა საშუალო სკოლაში შემდგარ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მასწავლებლებმა ვ. ქებურიამ, ა. ჭითანავამ, გ. ჩხოლორიამ, ხუთოსანმა მოსწავლემ ი. ლატარიამ და სხვებმა. მათ დაგმეს ამერიკელების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება და მოუწოდეს დამსწრეებს აღიმაღლონ იმპერიალისტთა ახალი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ხმა.

მშრომელთა მიტინგები შედგა საკონსერვო ქარხანაში, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილებაში და სხვ.

კინო

# ფილმი მამაც საბჭოთა ალპინისტებზე

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ახალი მხატვრული ფერადი ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“. სურათი მოგვითხრობს ქართველი მთამსვლელების გმირულ ლაშქრობაზე კავკასიონის მწვერვალების დასაპყრობად. ფილმში ნაჩვენებია საბჭოთა ალპინისტების სიმტკიცე და მამაცობა, ქართველი და რუსი მთამსვლელების ურღვევი მეგობრობა, მათი მტკიცე ბრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად.

საბჭოთა სპორტი მთელ მსოფლიოში მოწინავეა. სპორტის ერთ-ერთი წარმტაცი და ურთულესი სახეა მთამსვლელობა. ჩვენმა მთამსვლელებმა მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ალპინიზმის ისტორიაში. მათმა გამბედაობამ, ოსტატობამ და ურყევმა ნებისყოფამ დაიპყრო მიუვალი მწვერვალები. მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ალპინისტების მიერ მოწყობილ პამირის ექსპედიციას. ჩვენი მთამსვლელები ავიდნენ სტალინის პიკზე — სსრ კავშირის უმაღლეს მწვერვალზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 7.495 მეტრია.

1950 წლის ზაფხულში ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა უაღრესად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ბრწყინვალედ ჩაატარა ევროპისა და კავკასიის უძნელესი მწვერვალების — შხელდის ექვსკბილა ხერხემლის და უშბის ორი კოშკის ტრავერსი.

ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“ გადმოგვცემს საბჭოთა მთამსვლელების გმირობასა და სიმამაცეს, მათ შეუპოვარ ბრძოლას ბუნების სტიქიასთან. სურათი გადაღებულია კავკასიონის ქედის მწვერვალებსა და უღელტეხილებზე. გადაღებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ალპინისტური სპორტის საუკეთესო ოსტატები.

სცენარის სიუჟეტისათვის გამოყენებულია სახელოვანი ქართველი მთამსვლელების — ჯაფარიძეების ოჯახის ისტორია. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მამაცმა ალპინისტმა ალექსანდრე ჯაფარიძემ კავკასიონის მრავალი მწვერვალი დაიპყრო. ალექსანდრე ჯაფარიძეს ეკუთვნის უშბა-შხელდის ტრავერსის იდეა.

მწვერვალების უშიშარი დამპყრობი 1945 წლის აგვისტოში დაიღუპა უშბის ყინულოვან კალთებზე.

ფილმი იწყება კავკასიონის მთების დიადი პანორამით. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ცადაწვდილი გოლიათები: იალბუზი, მყინვარწვერი, აილამა, თეთნულდი, შხელდა. შემდეგ მაყურებელი ეცნობა ქართველი მთამსვლელების ლომიძეების ოჯახს. ოთახში კავკასიონის მთების მაკეტთან არიან სახელოვანი ალპინისტი სიმონ ლომიძე, მისი და ალექსანდრა, ალპური კლუბის თავმჯდომარე ექიმი თუმანიშვილი. „მოუსვენარი შვილები“ — ასე ეძახის ელისაბედი ალპინიზმით გატაცებულ სიმონსა და ალექსანდრას. მხოლოდ ალიოშას არ იტაცებს მთა. ის გამოცდებისათვის ემზადება, რომ მალე ჰიდროინჟინერი გახდეს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე მოხსენებას აკეთებს პროფესორი ნიკურაძე. პრეზიდიუმში სხედან ექიმი თუმანიშვილი, პროფესორი დიდიძე, სიმონი და სხვ. დამსწრენი გულთბილად მიესალმებიან მთიდან ჩამოსულ იაგორ ლუდუშაურს—მარად თოვლიანი მწვერვალების სახელოვან დამპყრობს.

ეკრანზე მოჩანს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი თავისი მშვენიერი ბაღებითა და შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლებით. ელენე და ალიოშა ფუნიკულორის პლატოდან გადმოსცქერიან თბილისს. სტუდენტი ახალგაზრდობა სტალინის სახელობის პარკში ატარებს დასვენების დღეს. ფუნიკულორზე არიან სიმონი, ალექსანდრა, ექიმი თუმანიშვილი, ლევან ჭრელაშვილი. სიმონი გატაცებით მოუთხრობს ამხანაგებს მთების სიმშვენიერეზე, მთამსვლელთა გმირობაზე, მათს შეუპოვარ ჭიდილზე ბუნების სტიქიასთან.

იცვლება კადრები. მოჩანს ლენინგრადი, ნევა, რუსი ამხანაგი ჟურავლიოვი გატაცებით ესაუბრება ალიოშას. მას სურს საქართველოში წამოსვლა და კავკასიონის მწვერვალების დაპყრობა.

მოჩანს თეთნულდი. მთის ციცაბო ფერდობზე ადიან სიმონი, პიმენი და ალექსანდრა. მწვერვალს ნისლი ეხვევა. ყინულოვან კედელზე საფეხურებს ჭრის სიმონი. მწვერვალიდან შხუილით ეშვება ზვავი. ყინული გლეჯს თოკს, სიმონს და პიმენს ზვავი იტაცებს. მარტოდ-მარტო დარჩენილ ალექსანდრას ძახილს მხოლოდ ეხო ეხმაურება... ელისაბედი დგას სიმონის სურათთან, სათუთად წმენდს დაღუპული შვილის წერაყინს და შემდეგ კითხულობს მის დღიურებს. ალიოშა აგრძელებს კითხვას. „ორი სიცოცხლე რომ მქონდეს, ორივეს ამ საქმეს შევწირავდი“, — წერს მამაცი ალპინისტი. ალიოშა გამოუტყდება ალექსანდრას, რომ მან გადაწყვიტა თეთნულდზე ასვლა. შვილები დედისაგან ფარულად ემზადებიან თეთნულდის დასაპყრობად. მთიდან ჩამოდის სიმონის მეგობარი იაგორ ლუდუშაური. დედა პირველად მისგან გაიგებს შვილების განზრახვას. ალიოშას გადასცემს სიმონის წერაყინს და უსურვებს ძმასავით მამაცი და გამბედავი იყოს.

მთის ფერდობზე მოჩანს კარავი. აქ არიან ექსპედიციის მონაწილენი ალიოშა, ალექსანდრა, იაგორი. მათ უერთდება გიო კიბოლანი, მთამსვლელები ნელა მიემართებიან მწვერვალისაკენ. აგერ ის ადგილი, სადაც სიმონი და პიმენი დაიღუპნენ. სვან მონადირეებს მათ მოსაგონებლად აქ ქვის ქონგური აუგიათ. წინ ყინულოვანი კედელია. ალპინისტები შეუპოვრად ებრძვიან მთას. აკეთებენ საფეხურებს და სახიფათო გზით ადიან სულ ზევით და ზევით. ამაყი თეთნულდი უკვე მათ ფეხქვეშ არის. ისინი ტკბებიან კავკასიონის მთების წარმტაცი სიმშვენიერით. ალიოშა გასცქერის ზვიად და მრისხანე უშბას, ის უკვე ფიქრობს მასთან შებმაზე.

გაცხოველებული მზადებაა უშბაზე ასასვლელად. ალიოშა სიხარულით ხვდება საქართველოში სამუშაოდ ჩამოსულ ვიქტორ ჟურავლიოვს. აქვე არიან ცნობილი ალპინისტები ძმები სიმბირცევები და ჩერნიხი. ჟურავლიოვი სურვილს გამოთქვამს ალიოშასთან ერთად ავიდეს უშბაზე. იწყება იერიში უშბის დასაპყრობად. მამაც მთამსვლელებს წინ ელობება პიტალო კლდის კედელი. მაგრამ ისინი შეუპოვრად მიიწევენ წინ, კლდის ნაპრალებში ასობენ რკინის პალოებს, თოკებით ეკიდებიან სახიფათო უფსკრულის თავზე და ასე იპყრობენ მიუვალ უშბას.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ალპინისტები დაბრუნდნენ სამთო ფრონტებიდან. ეკრანზე მოჩანს ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი. ალიოშა ლომიძე და მისი მეგობრები მოსკოვს ეწვივნენ უშბა-შხელდის ტრავერსის გეგმის დასამტკიცებლად.

იწყება უშბა-შხელდის ტრავერსი. ტრავერსში მონაწილეობენ ალიოშა ლომიძე, მისი და ალექსანდრა, ვიქტორ ჟურავლიოვი და გიო კიბოლანი.

უშბის პლატოდან დამხმარე ჯგუფი რადიოთი გადმოსცემს ტრავერსის მიმდინარეობას. უკვე გადალახულია უშბა. მამაცი ალპინისტები გადადიან შხელდის ექვსკბილა ხერხემალზე.

ტრავერსი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ამ დროს კავკასიაში საშინელი ციკლონი შემოიჭრა. მთებში ჩამოწვა შავი ღრუბლები. ჭექა-ქუხილი და ქარის ღმუილი აყრუებს არემარეს. მამაცი მთამსვლელები ვაჟკაცურად ებრძვიან ბუნების სტიქიას. მძვინვარე ქარიშხალი გლეჯს ყველაფერს. მთამსვლელები თავს აფარებენ გამოქვაბულს. საქართველოს მთავრობა სასწრაფოდ იღებს ზომებს ალპინისტთა დასახმარებლად. მაშველი ჯგუფები მიდიან საქართველოს ალპური კლუბიდან, ბანაკ „ლოკომოტივიდან“, უკრაინის ალპინიზმის სკოლიდან, იალბუზის „თერთმეტის თავშესაფრიდან“. ბანაკი „სპარტაკი“ გზავნის მაშველ ჯგუფს სახელოვანი ალპინისტის ევგენი სიმბირცევის მეთაურობით. გამოქვაბულში მომწყვდეულ მთამსვლელებს უკვე გამოელიათ სურსათი, მაგრამ ისინი სულით არ ეცემიან. მრისხანე ქარიშხალმა გადაიარა. ალპინისტები გამოდიან გამოქვაბულიდან. სიმბირცევის მაშველი ჯგუფი შორიდან შეამჩნევს მათ. მეგობრები სიხარულით ეხვევიან ერთმანეთს. ალიოშა და მისი ამხანაგები წარმატებით ამთავრებენ ტრავერსს. ბოლო კადრებში ნაჩვენებია ფიზკულტურელთა საზეიმო შეხვედრა მამაც ალპინისტებთან.

ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“ მეტად საინტერესო თემას ეხება. საბჭოთა ალპინისტების უმაგალითო გმირობა, მათი სიმტკიცე და სიმამაცე საუკეთესო მასალას იძლევა მაღალმხატვრული, წარმტაცი სურათის შესაქმნელად.

თბილისის კინოსტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივმა რეჟისორ დ. რონდელის ხელმძღვანელობით ვერ შეძლო ამ შესანიშნავ თემაზე შეექმნა მხატვრულად სრულყოფილი სურათი. ღირსებასთან ერთად ფილმს აქვს სერიოზული ნაკლოვანებები. სურათი რეჟისორული ოსტატობის მხრივ დაბალ დონეზე დგას. მასში არ ჩანს მაღალი რეჟისორული გემოვნება. ფილმი კომპოზიციურად არ არის მტკიცე, სიუჟეტს აკლია მთლიანობა. კადრებს შორის ყოველთვის არ იგრძნობა ლოგიკური კავშირი. ზოგიერთი კადრი მხოლოდ მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს და არ გამომდინარეობს სიუჟეტის განვითარების საერთო მოთხოვნიდან. ხშირია მსგავსი კადრების განმეორება.

ფილმის ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მისი სცენარი (ავტორები ნ. ტიხონოვი და დ. რონდელი) არ არის დამუშავებული სათანადო მხატვრული ოსტატობით. იგი არ ტოვებს დასრულებული კინოდრამატული ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

სცენარში საბჭოთა ალპინიზმის მნიშვნელობა, მისი პრაქტიკული დანიშნულება ბუნდოვნად არის გადმოცემული. აი როგორ ხსნის თავის გატაცებას ალპინიზმით ფილმის ერთ-ერთი გმირი ჟურავლიოვი: „როგორც კი დავამთავრებ პროექტს, საქართველოში წამოვალ. აუცილებლად ავალ ყველაზე მაღალ მწვერვალზე და იქიდან წარვმართავ მთებში თოვლის დნობას“ (?!!).

სათანადოდ არ არის დამუშავებული ლირიკული სცენები (ალიოშასა და ელენეს, გიოსა და თინათინის სიყვარულის ამბავი).

ხელოვნურია ის ადგილი, სადაც ნაჩვენებია ელენეს მუშაობა კავკასიონის მთებში ყინვისგამძლე ნარინჯების ახალი ჯიშის გამოსაყვანად.

სცენარი დაწერილია ღარიბი, არამხატვრული ენით, ზოგიერთი დიალოგი სუსტი და უშინაარსოა.

სცენარში გამოყვანილი მთელი რიგი გმირები სქემატური არიან, მათი მოქმედება და ხასიათის განვითარება მოკლებულია ლოგიკურ მოტივაციასა და დამაჯერებლობას. ამით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი სახელოვანი მსახიობის ნ. ვაჩნაძის მიერ შექმნილი დედის სახე მკრთალია. სქემატური და მკრთალია აგრეთვე შ. ღამბაშიძის მიერ შექმნილი ექიმ თუმანიშვილის სახე.

ფილმში მთავარი გმირის ალიოშა ლომიძის როლს ასრულებს ზ. ლეჟავა. მსახიობს მრავალი კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ იგი მაინც ვერ ქმნის მგზნებარე, დაუდეგარი და მამაცი მთამსვლელის სრულყოფილ სახეს.

ალიოშას დის ალექსანდრას როლს ასრულებს ლ. ასათიანი. მსახიობი ვერ იძლევა უშიშარი და შეუპოვარი ალპინისტი ქალის სახეს. მის თამაშში არ იგრძნობა მოვლენათა წრფელი განცდა. მსახიობი მხატვრული სიმართლით ვერ გადმოგვცემს გმირის სულიერ განცდებს. ფილმში მამაცი მთამსვლელის იაგორ ლუდუშაურის დაუვიწყარ სახეს ქმნის ა. აფხაიძე. კარგად ასრულებენ გიო კიბოლანის როლს გ. გელოვანი, ხოლო ვიქტორ ჟურავლიოვის როლს ი. პერევერზევი. უბრალო და გულწრფელი თამაშით გამოირჩევა ლ. ლოლობერიძე თინათინ მარგიანის როლში. კარგია ვ. ნინუას „უბედო მთამსვლელი“ ლევან ჭრელაშვილი, რომელსაც სიცოცხლე და ხალისიანი იუმორი შეაქვს ფილმში.

ელენეს როლის შემსრულებელი მ. ჯაფარიძე მთელ რიგ კადრებში საუკეთესოდ თამაშობს, მაგრამ მის მიერ შექმნილი სახე საერთოდ მაინც სქემატურია და ზერელე შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ძირითადად სცენარის მიზეზით არის გამოწვეული.

კარგია მამაცი მთამსვლელის სიმონ ლომიძის როლში გ. შავგულიძე.

კარგად ასრულებენ ეპიზოდურ როლებს ა. ჩემადუროვი (ე. სიმბირცევი), ი. სარანცევი (ვ. სიმბირცევი), ვ. უშაკოვა (ჩერნიხი), გ. საღარაძე (პროფ. ნიკურაძე), მ. პოგრებეცკი (ალპური ბანაკის უფროსი).

ქების ღირსია ოპერატორების ა. კალცატის, გ. რეისგოფის და ბ. კრებსის შესანიშნავი მუშაობა. მაყურებელს იტაცებს და ხიბლავს იშვიათი ოსტატობით გადაღებული კადრები. განსაკუთრებით კარგად არის გადაღებული კავკასიონის მიუვალი მწვერვალები.

კარგია კომპოზიტორების ა. ბალანჩივაძისა და რ. გაბიჩვაძის მუსიკა.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მაყურებელს ცუდად არ მიუღია ფილმი. ეს უმთავრესად აიხსნება ჩვენი ხალხის დიდი ინტერესით საბჭოთა ალპინისტების უმაგალითო გმირობისა და მამაცობის ამსახველ ფილმებისადმი.

ამ შესანიშნავ თემაზე შეიძლებოდა მხატვრულად უფრო სრულყოფილი, წარმტაცი და ამაღელვებელი სურათის შექმნა.

**შ. ირემაძე**

## საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

### რობერ შამბეირონის განცხადება

**პარიზი,** 21 მარტი. (საკდესი). დღეს პარიზის პრესაში გამოქვეყნდა საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომწვევი საერთაშორისო მოსამზადებელი კომისიის გენერალური მდივნის რობერ შამბეირონის შემდეგი განცხადება:

მოსკოვში საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მოწვევამ ბევრი ქვეყნის საზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა წრეების ცხოველი ინტერესი და მრავალი გამოხმაურება გამოიწვია.

საერთაშორისო ეკონომიური თათბირის საკითხზე აზრი გამოთქვა ბევრმა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწემ, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა, რომელმაც ამასთან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტმა ბევრი შეკითხვა მიიღო საერთაშორისო ეკონომიური თათბირის შესახებ".

შეიძლებოდა მივესალმებოდით ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლას, რომელმაც მოისურვა პასუხი გაეცა ამ შეკითხვებზე, ბატონ აჩესონს რომ მიუკერძოებელი და ობიექტური ახსნაგანმარტება მოეცა საკითხის არსზე. მაგრამ ბ-ნმა აჩესონმა, სამწუხაროდ, ასეთი ახსნაგანმარტების ნაცვლად სცადა თავისი განცხადებით დეზორიენტაცია შეეტანა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრში საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ბ-ნი აჩესონი ცდილობს ყალბად წარმოგვიდგინოს საერთაშორისო ეკონომიური თათბირი და დაამახინჯოს მისი ნამდვილი მიზნები.

ცდილობს რა ამას, იგი მიმართავს ისეთ არგუმენტებს, რომლებიც წინააღმდეგობაში აგდებენ მას. ერთი მხრივ იგი ლაპარაკობს „კონსტრუქციული საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებაზე" და მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის სპეციალიზებულ დაწესებულებებზე, როგორც ბუნებრივ ფორუმზე ამ საკითხის შესახებ წინადადებათა განსახილველად. მაგრამ მეორე მხრივ იგი მოითხოვს ექსპორტის შემდგომ შეზღუდვას და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაძნელების გაძლიერებას, ვითომდა უშიშროების ინტერესებისათვის. როგორღა შეუძლია ასეთ შემთხვევაში აჩესონს ილაპარაკოს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის რაღაც განვითარებაზე? საერთაშორისო ვაჭრობაში ეგრეთწოდებული „კონტროლის" და შეზღუდვის გაძლიერების მოთხოვნა, რაც მისი განცხადების არსს შეადგენს, ხომ ვერასგზით ვერ გახდება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების საფუძველი, არამედ, პირიქით, იწვევს ამ ვაჭრობის შემცირებასა და მოშლას.

საჭიროა აგრეთვე ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მოწვევის ინიციატორები ამ თათბირს სრულიადაც არ უპირდაპირებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ ორგანოებს, არამედ, პირიქით, მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ამოცანის შესრულებაში. ამ აზრით საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს ნამდვილად შეუძლია რეალურად შეუწყოს ხელი და კიდევაც უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა წარმატებით შეასრულოს ასეთი სასიცოცხლო ამოცანა, როგორიც არის ხალხთა ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება და განმტკიცება.

თათბირის მოწვევის საერთაშორისო მოსამზადებელმა კომისიამ ყოველი ღონე იხმარა რათა მოსკოვის თათბირზე წარმოდგენილი იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ეკონომიური ორგანო, როგორიც არის, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭო, ევროპის ეკონომიური კომისია, აზიისა და შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი ეკონომიური კომისია, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიური კომისია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს ეკონომიური დეპარტამენტი. მარტო ეს უკვე საკმაოდ დამაჯერებელი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ სრულიად უსაფუძვლოა ბ-ნ აჩესონის ცდა დაუპირდაპიროს მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ ორგანოებსა და დაწესებულებებს. ამასთან საერთაშორისო ეკონომიური თათბირის ორგანიზატორებს მხედველობაში არ მიუღიათ ამ თათბირის მონაწილეთა არც პოლიტიკური შეხედულებანი და არც პარტიული კუთვნილება.

ის გარემოება, რომ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე მოწვეული არიან წარმომადგენლები არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებიდან, არამედ აგრეთვე იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ შედიან, — ჩინეთიდან მისი უზარმაზარი ბაზრით, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიიდან, იტალიიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან, ნათლად მოწმობს, რომ თათბირის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ვაჭრობის ნამდვილ განვითარებას.

ცნობილია, რომ ერთადერთი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომზადებისა და მოწყობისათვის, არის კოპენჰაგენში 1951 წლის 28 ოქტომბერს შექმნილი საერთაშორისო საინიციატივო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ 20-ზე მეტი ქვეყნის მეცნიერები, ეკონომისტები, მრეწველები, ფინანსისტები, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების მოღვაწეები, პროფკავშირთა წარმომადგენლები. ის გარემოება, რომ საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მოწვევის იდეა წამოაყენეს და მას მხარი დაუჭირეს სხვადასხვა ქვეყნის ფართო საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ასეთი თათბირის მოწვევა მომწიფებული სასიცოცხლო საჭიროებაა.

ბ-ნ აჩესონის განცხადება იმას მოწმობს, რომ მას არ შეუძლია დამალოს თავისი შეშფოთება იმ მნიშვნელობის გამო, რაც საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს ექნება, რამდენადაც მას, უეჭველია, შეუძლია დიდებითი გავლენა მოახდინოს ამჟამად დარღვეული საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაზე და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებაზე, საერთაშორისო ურთიერთობაში ამჟამად არსებული დაძაბულობის შენელებაზე. ბ-ნ აჩესონის განცხადება საწყენი და იმედის გამაცრუებელია ყველასთვის, ვისაც ბევრ ქვეყანაში და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში სურს ხელი შეუწყოს საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობას. ასეთი განცხადების ერთადერთი სწორი განმარტება ის არის, რომ ბ-ნი აჩესონი და ის წრეები, რომლების წარმომადგენელიც იგია, მტრულად ეპყრობიან ყოველგვარ საერთაშორისო ეკონომიურ თანამშრომლობას, რომელმაც უნდა გააძლიეროს იმათი ღონისძიებანი, ვინც ფიქრობს, რომ ხალხთა შორის ქიშპობა უნდა შეიცვალოს მათ შორის თანამშრომლობით.

ამრიგად, დაგვრჩენია გავაკეთოთ მხოლოდ ერთადერთი დასკვნა: ბ-ნ აჩესონის განცხადება საწყენი და იმედის გამცრუებელია იმათთვის, ვისაც კიდევ ჰქონდა ილუზია, რომ ბ-ნ აჩესონის უწყება ესწრაფვის ქვეყნებს შორის ეკონომიურ თანამშრომლობასა და საერთაშორისო ვაჭრობას და ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებას. ეს ილუზიები ახლა სავსებით გაქარწყლებულია ბ-ნ აჩესონის განცხადებით.

## მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

**პარიზი.** ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ 22 მარტს გაიმართა მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირის საფრანგეთის დელეგაციის წევრთა თათბირი. დელეგაციამ განიხილა თავისი გამგზავრების მოწყობის საკითხები.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, დელეგაციის შემადგენლობაში ალბათ იქნება 28-30 წევრი, მათ შორის საფრანგეთის ყველა რაიონის მრეწველობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი 19 მრეწველი, 5 ეკონომისტი და საფრანგეთის სხვადასხვა პროფკავშირული ცენტრების 4 წარმომადგენელი. დელეგაციას თან გაჰყვება რამდენიმე ჟურნალისტი.

დელეგაციის წევრები არჩეულ იქნენ 600 კაციდან, რომლებმაც საორგანიზაციო კომისიას გაუგზავნეს წერილები, სადაც მათ გამოთქვეს თავიანთი სურვილი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მუშაობაში.

**ჰააგა.** მოსკოვის მომავალი საერთაშორისო ეკონომიური თათბირი ჰოლანდიის სავაჭრო-სამრეწველო წრეების სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. როტერდამის გაზეთი „ჰანდელს ენ ტრანსპორტ კურანტი", გამოთქვამს რა ამ წრეების აზრს, წერს:

„ჩვენ არ შეგვიძლია უნდობლად შევხვდეთ მოსკოვის თათბირს, რადგან მეტად მნიშვნელოვანია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა გაუმჯობესდეს. ამიტომ ჰოლანდიამ უნდა ისარგებლოს მოსკოვის მომავალი ეკონომიური თათბირით, რათა ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან. გასაგებია, რომ მხოლოდ ამერიკელები უფრთხიან რუსების ინიციატივით მოწყობილ თათბირს. მაგრამ ამერიკელები საქმეს უყურებენ თავიანთი ინტერესების თვალსაზრისით და სრულიადაც არ ფიქრობენ, რომ ბევრი ქვეყნის ეკონომიკა, მათ შორის ჰოლანდიის ეკონომიკაც, დაცემის მდგომარეობაშია"...

**ბერლინი.** დასავლეთ გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მოსკოვის მომავალ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს. გაზეთი „ჰამბურგერ ფოლკსცაიტუნგი" მომავალი თათბირისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ომის მომზადებას, გამოიწვია აკრძალვა ექსპორტისა იმ ქვეყნებში, რომლებიც მხარს არ უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსს, დაცემა გერმანიის ვაჭრობისა აღმოსავლეთთან, მნიშვნელობა დაუკარგა ჰამბურგის ნავსადგურს როგორც შუამავალს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქონელბრუნვაში, გაზარდა უმუშევრობა ჰამბურგში, სადაც 107 ათასი უმუშევარია, და მკვეთრად შეამცირა გერმანიის საშინაო ვაჭრობა.

„მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირის განსაკუთრებული მნიშვნელობა, — წერს გაზეთი,—უნდა დავინახოთ სწორედ იმით, რომ იქ, მიუხედავად პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ერთ მაგიდას მოუსხდებიან კაპიტალისტური ქვეყნების, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომისტები და კომერსანტები და საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომისტები. ეს თანასწორუფლებიანი კომერსანტები და ეკონომისტები ძლიერ კარგად გამონახავენ საერთო ენას.

ჰამბურგელი კომერსანტები და გემთმფლობელნი მიესალმებიან ამ საერთაშორისო თათბირს, რადგან ჰამბურგის მოსახლეობას და მთელ გერმანიას არ შეუძლიათ იარსებონ დიდხანს, თუ არ ექნათ მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან და თუ თავისუფლად არ განავითარეს ვაჭრობა".

მაინის ფრანკფურტის გაზეთი „სოციალისტიშე ფოლკსცაიტუნგი", რომელმაც განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიაში 2,5 მილიონზე მეტი უმუშევარია, ხოლო ოჯახებთან ერთად, რომლებიც მათს ხელფასზეა დამოკიდებული, ეს ციფრი დაახლოებით 6 მილიონს უდრის, წერს: „ყველა მათგანს შეეძლო მიეღო სამუშაო და პური გაცხოველებული სავაჭრო კავშირის დამყარების შემთხვევაში. აქედან ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს ჩვენი ქვეყნისათვის".

## საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე ინდონეზიის დელეგაციის შემადგენლობა

**ჯაკარტა,** 22 მარტი. (საკდესი). მოსკოვში საერთაშორისო ეკონომიური თათბირის მომწვევი ინდონეზიის საინიციატივო კომიტეტის წარმომადგენელმა გუშინ ანტარას სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ინდონეზიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე გამგზავრების ნებართვა მისცეს მხოლოდ შვიდ დელეგატს.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა

**ნიუ-იორკი,** 22 მარტი. (საკდესი). 21 მარტს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა, რომელზეც გამოვიდნენ მთელი რიგი დელეგატები, მათ შორის ინგლისისა და ჩილის დელეგატები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს კომისიის მუშაობის ამერიკულ გეგმას.

ინგლისის წარმომადგენლის ჯების სიტყვა ასავსე იყო ლვარძლიანი გამოხდომებით კორეისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხების წინააღმდეგ. მან სცადა გაემართლებინა ამერიკის შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი მოქმედება, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობენ კორეასა და ჩინეთში, და განაცხადა, რომ კომისია თითქოს უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ხმარობენ თუ არა ამერიკის ჯარები ბაქტერიოლოგიურ იარაღს კორეასა და ჩინეთში.

ინგლისის წარმომადგენლის გამოსვლამ ცხადყო, რომ შეერთებულ შტატებსა და ინგლისს არა სურთ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება — ხუთმა დიდმა სახელმწიფომ მესამედით შეამციროს თავისი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები „სრულიად არარეალური და არახელსაყრელია დასავლეთის ქვეყნებისთვის".

ჩილის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „კომისიის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ექნება ფასი, თუ მას მხარი არ დაუჭირა ხუთმა დიდმა სახელმწიფომ". მან მოუწოდა კომისიის წევრებს არ აჩქარდნენ კომისიის მუშაობის იმ გეგმების წინააღმდეგ კენჭისყრაში, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების დელეგაციებმა წარმოადგინეს, ყოველი ღონე იხმარონ კომპრომისის მიღწევისათვის.

„ეჭვი არ არის, — თქვა მან, — რომ მუშაობის გეგმის საბჭოთა პროექტის მარტო უარყოფაც კი ჩიხში მოაქცევს კომისიის მუშაობას. თვით უმცირესი შესაძლებლობანიც კი გამოყენებულ უნდა იქნას შეთანხმების მისაღწევად".

ჩილის დელეგატმა თავისი სიტყვა იმით დაამთავრა, რომ მხარი დაუჭირა კომისიის მუშაობის გეგმის ამერიკულ პროექტს.

## მაქს რაიმანის გამოსვლა მიუნხენში

**ბერლინი,** 23 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს მიუნხენის 2 ათასი მცხოვრების წინაშე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა, რომელმაც ბავარიის მომავალ კომუნალურ არჩევნებთან დაკავშირებით დაიწყო გერმანიის კომუნისტური პარტიის საარჩევნო კამპანია. მაქს რაიმანმა ჩამოაყალიბა პროგრამა, რომლითაც გერმანიის კომუნისტური პარტია გამოდის კომუნალურ არჩევნებში.

მაქს რაიმანმა აღნიშნა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია მოითხოვს აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა და დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან.

კომპარტია გამოდის აგრეთვე სამხედრო ბეგრის შემოღების წინააღმდეგ და მოითხოვს შეწყდეს ყოველგვარი სამხედრო წარმოება.

შემდეგ რაიმანმა განაცხადა, რომ გერმანიის კომპარტია მოითხოვს უმუშევრობის გამო დახმარებისა და პენსიების გადიდებას, საავადმყოფოების, სასწავლებლებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობას, აგრეთვე ფართო საბინაო მშენებლობას.

დასასრულ რაიმანმა აღნიშნა, რომ გერმანიის კომპარტია მოითხოვს შემცირდეს გაზით, წყლითა და ელექტროენერგიით სარგებლობის ტარიფები.

მაქს რაიმანის სიტყვის შემდეგ, რომელიც მას არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით, წინასაარჩევნო მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: მიტინგის მონაწილენი ფედერალური მთავრობისაგან მოითხოვენ, რომ მან, ჯერ-ერთი, მოითხოვოს დასავლეთი სახელმწიფოებისაგან დადებითი პასუხი საბჭოთა კავშირის წინადადებაზე, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და, მეორე, დანიშნულ იქნან დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები სრულიად გერმანიის მოლაპარაკებისათვის მთელ გერმანიაში თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევნების მოწყობის შესახებ, რის შედეგად შეიქმნება ეროვნული კრება.

## კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 22 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და სერიოზულ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

**ფხენიანი,** 23 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 23 მარტს გამოაცხადა:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

დღეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ვონსანისა და ხამხინის რაიონებს. სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

## მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი,** 23 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის მიერ 22 მარტს კესონიდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

შტაბის ოფიცერთა დღევანდელ სხდომაზე, რომელიც განიხილავს კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტს, კორეისა და ჩინეთის მხარის შტაბის ოფიცერი დათანხმდა შეეტანოს ახლო მდებარე აეროდრომები გადმოტვირთვის თავის დაწესებული სამი პუნქტის ფარგლებში. კორეისა და ჩინეთის მხარის დელეგატი დღის წესრიგის მესამე პუნქტის განმხილველ ქვეკომიტეტში ჯერ კიდევ ადრე განმარტავდა, რომ შესაძლოა ჩვენი მხარე დათანხმდეს საჰაერო ტრანსპორტის პუნქტების შეტანაზე დაწესებული გადმოტვირთვის პუნქტების ფარგლებში მხოლოდ იმ პირობით, თუ ამერიკელები უარს იტყვიან თავიანთ დაუსაბუთებელ მოთხოვნაზე—ჩაერიონ კორეის საშინაო საქმეებში იმ გზით, რომ სცადონ შეზღუდონ ჩვენი უფლებები ჩვენს ტერიტორიაზე არსებული აეროდრომების მიმართ.

დღეს ჩვენი მხარის შტაბის ოფიცერმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ პირობით მოითხოვა ჩვენმა მხარემ ჩაითვალოს სინანჯუს აეროდრომი გადმოტვირთვის ერთ-ერთ დაწესებულ პუნქტად და დათანხმდა შეტანილ იქნას გადმოტვირთვის სამი სხვა პუნქტის — სინიიჯუს, ჩხონჯინისა და ხინამის ფარგლებში მათ მახლობლად განლაგებული აეროდრომები.

## მსოფლიოს ხალხები პროტესტს აცხადებენ ამერიკელი იმპერიალისტების საშინელი დანაშაულობის წინააღმდეგ

### პოლონეთი

**ვარშავა,** 23 მარტი. (საკდესი). პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მტკიცე პროტესტს აცხადებს იმ საშინელ დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით სჩადიან ამერიკელთა ჯარები კორეასა და ჩინეთში სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, რომლის მოსპობასაც ინტერვენტები ბაქტერიოლოგიური იარაღის საშუალებით ცდილობენ. სახალხო პოლონეთის მილიონობით მშრომელი მტკიცედ გმობს ადამიანთა მკვლელობის ამ აქტს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩაერიოს საქმეში, რათა შეწყდეს გამოყენება ამ ბარბაროსული იარაღისა, რომელიც დაგმო მთელმა კაცობრიობამ და აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით, მოითხოვენ აგრეთვე ამ საშინელი დანაშაულის ჩამდენთა სასტიკ დასჯას.

**ვარშავა,** 23 მარტი. (საკდესი). ყველა პოლონურმა გაზეთმა დღეს გამოაქვეყნა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნოს მიმართვა პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ამერიკელი ინტერვენტების მიერ კორეასა და ჩინეთში წარმოებული ბაქტერიოლოგიური ომის მსხვერპლთათვის სანიტარული დახმარების გაწევის შესახებ. მიმართვაში ნათქვამია:

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნო, გამოხატავს რა სოლიდარობისა და სიმპათიის გრძნობას, რომლითაც პოლონეთის მუშათა კლასი და მთელი პოლონელი ხალხი გმირ კორეელ ხალხს ეპყრობა, მოუწოდებს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას დახმარება გაუწიონ ამერიკელი ბარბაროსების მსხვერპლთ და თავიანთი ფონდებიდან გამოჰყონ სათანადო სახსრები შრატებისა და ეპიდემიის საწინააღმდეგო სხვა საშუალებათა შესაძენად.

### ჰოლანდია

**ჰააგა,** 23 მარტი. (საკდესი). გუშინ ამსტერდამში გაიმართა მრავალათასოვანი საპროტესტო მიტინგი ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის გაჩაღების გამო. მიტინგზე გამოსულმა მუშა პოონსმა და სტუდენტმა დე გაანმა ამერიკელ აგრესორთა დანაშაულობას „უსაზღვრო ბარბაროსობა" უწოდეს. დიასახლისმა დე სმიდმა მოწოდებით მიმართა ჰოლანდიელ ქალებს:

„დედებო, შეიგნეთ, რომ ამერიკელები კორეაში ხოცავენ პატარა ბავშვებს. თუ საპროტესტო ხმა არ აღვიმაღლეთ, ხვალ ჩვენი შვილებიც დაიღუპებიან".

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნა ჰოლანდიის მთავრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს. რეზოლუციაში გამოთქმულია პროტესტი ამერიკის მიერ ბაქტერიოლოგიური ომის გაჩაღების წინააღმდეგ და მოთხოვნა დაუყოვნებლივ გამოყვანილ იქნან კორეიდან ჰოლანდიის ჯარები.

### ბულგარეთი

**სოფია,** 23 მარტი. (საკდესი.) ბულგარეთის მშრომელები, საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციები, პრესა კვლავ მტკიცე პროტესტს აცხადებენ კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკელ ბარბაროსთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების წინააღმდეგ.

სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვული კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მტკიცედ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი კორეაში ამერიკელ ინტერვენტთა სისხლისმღვრელი ბოროტმოქმედების შესაწყვეტად, აგრეთვე სასტიკ საერთაშორისო სამართალში მისცეს ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ორგანიზატორები.

### დანია

**კოპენჰაგენი,** 23 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა დანიის კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად დაგზავნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება ეწინააღმდეგება საერთაშორისო წესებს. ეწინააღმდეგება ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმს, რომელსაც ხელი მოაწერეს მეტმა წილმა ქვეყნებმა. ასეთი ომის წარმოება განხილულ უნდა იქნას როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. როგორც ატომური იარაღი, ისე ბაქტერიოლოგიური იარაღი მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ სახეობის იარაღის ხმარება ყოველმა პატიოსანმა კაცმა უნდა დაგმოს.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშვიდობის მომხრეთა დანიის კომიტეტი გმობს ადამიანების მასობრივი მოსპობის საშუალებათა გამოყენებას და მოითხოვს დაუყოვნებლივ აიკრძალოს ბაქტერიოლოგიური, ქიმიური, რადიაქტიური, ატომური იარაღი და მომწამვლელი ნივთიერებანი.

### ფინეთი

**ჰელსინკი,** 23 მარტი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა იუწყება: იმასთან დაკავშირებით, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა ჟოლიო-კიურიმ მსოფლიოს ხალხებს მიმართა მოწოდებით სამარცხვინო ბოძზე გააკრან საზარელი დანაშაულობა ამერიკელი იმპერიალისტებისა, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური ომი დაიწყეს მშვიდობისმოყვარე კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ, ფინეთის მშვიდობის კავშირის თავმჯდომარემ და ორგანიზაციის „მშვიდობის მომხრენი ფინეთში" ვიცე-თავმჯდომარემ პროფესორმა ფელიქს ივერსენმა დეპეშა გაუგზავნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს ლაფიტს. დეპეშაში ივერსენი იმ ორგანიზაციების წევრთა სახელით, რომლებსაც იგი მეთაურობს, აღშფოთებას გამოთქვამს ამერიკელ ინტერვენტთა მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების გამო.

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში

**ბუდაპეშტი,** 23 მარტი. (საკდესი). გ. მაროცის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა მეთორმეტე ტური. მალე დამთავრდა ყაიმით სმისლოვ-ბოტვინიკისა და პეტროსიან-კოტნაუერის პარტიები. მაყურებელთა ყურადღება მიპყრობილი იყო გელერ-საბოს, კერეს-ბენკოს და გოლომბეკ-შტალბერგის პარტიებისადმი. ამ პარტიებს შორის პირველი დამთავრდა გელერ-საბოს პარტია. ჰოლანდიურ დაცვაში უნგრელმა გროსმაისტერმა ვერ მოახერხა თანაბარი თამაშის შექმნა. გელერმა თავისი მხედრებით მტკიცედ დაიკავა ცენტრი და ამით შეზღუდა შავების ფიგურების მოქმედება. საბო ცდილობდა განთავისუფლებულიყო და შესწირა პაიკი, მაგრამ ამის შემდეგ გელერმა გაბედული იერიში დაიწყო მეფის ფლანგზე. მან მოიგო რკუ და უკვე 36-ე სვლაზე აიძულა გროსმაისტერი საბო წინააღმდეგობა შეეწყვიტა.

გოლომბეკ-შტალბერგის პარტიაშიც ჰოლანდიური დაცვა გათამაშდა. აქ შავები უფრო მარჯვედ თამაშობდნენ. შტალბერგმა ღინჯად მოიგერია თეთრების იერიში და ზედიზედ მოიგო სამი პაიკი. გოლომბეკი დანებდა.

კერეს-ბენკოს პარტია ყაიმით დამთავრდა. სლივამ მოუგო გერებენს და ტროიანესკუმ ბარცას. პლატც-ო'კელის და პილნიკ-სილის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა. 12 ტურის შემდეგ გელერსა და შტალბერგს ცხრა-ცხრა ქულა აქვთ.

## სსრ კავშირის XIV პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის

### მესამე ტური

მესამე ტურში დამთავრდა მხოლოდ ოთხი პარტია. ვ. ტიხომიროვამ ს. პოდვოინსკაიასთან პარტიაში ლამაზი კომბინაციით მოიგო პაიკი და ხარისხი, მაგრამ შემდგომში უგეგმო თამაშით წააგო პარტია.

დანარჩენი პარტიებიდან ვ. ბელოვამ მოუგო ე. ბიგლოვას, ლ. კოგანმა — სტრანგსტრემს და ყაიმით დამთავრდა ს. როოტარე-ტ. მახინას შეხვედრა.

დანარჩენი პარტიები გადადებულია.

## რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში

დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი მაყურებელს უჩვენებს ახალ დადგმებს:

**დ. კლდიაშვილის — „დარისპანის გასაჭირი"** (კომედია ერთ მოქმედებად).

სპექტაკლს დგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს დ. თავაძეს.

**ნ. გოგოლის — „ბანქოს მოთამაშენი"** (კომედია ერთ მოქმედებად). სპექტაკლს დგამს ა. დვალიშვილი.

„შეშლილის წერილები" (სცენა-მონოლოგი).

## დ ღ ე ს გ ა ზ ე თ „ზ ა რ ი ა ვ ო ს ტ ო კ ა შ ი"

**პირველი გვერდი** — მოწინავე — კომკავშირული ორგანოების ანგარიში და არჩევნები.

ბათუმის პოლიტიკური დემონსტრაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ჩინელი მწერლები საქართველოში.

საერთო სათაურით „ფართოდ გავაჩაღოთ საპირველმაისო შეჯიბრება" წერილები: ქდანოვი — რუსთავი. ციკლური მუშაობის გრაფიკით მოწინავე საწარმოთა თანამეგობრობა. თესვა თბილისის ოლქში. მოწინავე მექანიზატორები. ხშირი ჯეჯილი.

საბჭოთა კავშირში.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — გავაუმჯობესოთ საბჭოთა დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

ს. ბერიძე — სტალინური გაზეთი „დრო" (გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 45 წლისთავის გამო).

ა. ბერიშვილი — ლითონის მომპირკეობის კომპლექსური ბრიგადები. ჩამორჩებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადების საქმეში.

მ. მაზანაშვილი — „კეთილი მოსამართლენი" ახმეტის რაიონში.

**მესამე გვერდი** — ვ. კაკაბაძე — გამოჩენილი მეცნიერი ქიმიკოსი (პ. გ. მელიქიშვილის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო).

გ. ბონდარენკო—გაზაფხული ალაზნის ველზე.

ეველგმოთ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებლები.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე

**ი. ნატროშვილი**

## საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**26 მარტს**

6.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 7.30 — სიმღერები კინოფილმებიდან. 11.10 — კონცერტი აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 17.10 — კონცერტი მოსკოველთათვის. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.15 — საოპერო მუსიკა. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — ბეთჰოვენის სიმღერები რადიოკომიტეტის სოლისტის ე. წვერავას შესრულებით. 20.45 — რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი. 21.00 — ლექცია — კაპიტალისტური ქვეყნების მოგების ზრდა და მშრომელთა გაღატაკება. 21.30—ბეთჰოვენის გარდაცვალებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია მოსკოვიდან.

## დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ევგენი ონეგინი (მე-5 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — დარისპანის გასაჭირი (პრემიერა), ბანქოს მოთამაშენი, შეშლილის წერილები; **მარჯანიშვილის სახელობის** — რევიზორი; **გრიბოედოვის სახელობის**—ძია ვანო (დილით), სახლი შესახვევში (საღამოს 52, 53 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ზამთრის ზღაპარი (მე-7 აბ. 10 ს., მე-11 აბ. 1 ს.), ქორწინება (63-ე აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თეთრად მოჩანს აფრა ეული (10 ს.), დუბროვსკი (3 ს.); **თოჯინების ქართული** — ურჩი გია (11, 2 და 4½ საათზე); **სანკულტურის** — მაიას წყარო.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (გარსთა თეორიის სპეციალობით) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადება და სათანადო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში: ძერჟინსკის ქ. № 8 (მესამე სართული).

კონკურსის ვადა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 8 აპრილს, დღის 3 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი ანტონის-ძე გელოვანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ჩიყვი".**

ოფიციალური ოპონენტები პროფესორი **ი. ი. ტატიშვილი** და პროფესორი **მ. ე. კომახიძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დედა თებრონე, ძმა მელენტი, დები ანეტა, თამარ ბისიეშვილები, სიძე ქ. ცინცაძე შვილებით იუწყებიან **მოსე ივანეს-ძე ბისიეშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-III, 7 ს. რუსთაველის პროსპ. № 50, დაკრძალვა 30-III, 3 ს. ლანჩხუთში.

მეუღლე ცუცა ჯიაძე, შვილები გივი, მზია, ძმა ზურაბ, დები მარო, ელისო, ბიძა ნიკოლოზ ტატიშვილები, სიდედრი თალიკო ჯიაძე იუწყებიან **ივანე სიმონის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 5½ ს. კალანდაძის, 14.

მეუღლე ვერა, შვილი მანანა იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე ცხაკაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 4 ს. წერეთლის, 3/5.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ლიზა, ლუბა, კარლო, ძმა ნიკო ოჯახით, სიძეები გ. კაშია, დ. ბერძენიშვილი, შვილიშვილები ქ. ფოფხაძე, ლ. ცინცაბაძე იუწყებიან **სოლომონ ლევანის-ძე ფოფხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 5½ ს. ორჯონიკიძის, 87-ა.

მშობლები ქსენია, გიორგი, დები ნანული, ლიანა, მამიდები ანიკო, მარო, ელენე, თამარ, ეთერ ბითაძეები, ბებია სოფიო, დეიდა თამარ ხიჩაკაძეები იუწყებიან **ტრისტან გიორგის-ძე ბითაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. ტყვიავის ჩიხი, 6.

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **ლიზა ალექსის ასულ ჰანიშვილის** გარდაცვალებას.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება **ბარბარე სტეფანეს ასულ ბერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 3 ს. რკინიგზის საავადმყოფოს პროზექტურიდან.

ძმები ტიტე, ვლასი, აპოლონ გოცირიძეები ოჯახებით, და კლავდია, დისწული თამარ წერეთლები იუწყებიან ექიმ **აგაფონ ალექსანდრეს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. გურამიშვილის I ჩიხი, 1.

დები თამარ, ნინო, ძმები ვანო, სტეფანე, ირაკლი, რძლები ლიზა, საშა, ნინო, ლუბა, მარო რცხილაძეები, სიძე ი. მაჭავარიანი შვილებით, მამიდა მაიკო აბელიშვილი იუწყებიან **ვახტანგ იროდიონის-ძე რცხილაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. მელიქიშვილის, 18.

დეიდები მარიამ ადუაშვილი, ელისაბედ ასლანიკაშვილი, დეიდაშვილი ა. ასლანიკაშვილი, მამიდა სოფიო, მამიდაშვილები მ. მახაბელი, შ. ჭუმბაძე, ბიცოლა ანა, ბიძაშვილები თამარ, გიორგი, ლიდა ბრიძელები ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ მიხეილის-ძე დორეულის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. ორჯონიკიძის, 40-ბ.

და ელენე, დისწულები გრიშა, ნინო, ქეთო შალიკაშვილები, სიძე ფ. ნაჭყებია, რძალი ეთერ დევდარიანი, დისწული თეიმურაზ აბელიშვილი იუწყებიან **დავით თომას-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, ჩოხატაურში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00166